ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

akhalitaoba.ge

## „დავით კრავეიშვილი ხანჯლითაა მოკლული ლ.ი.-ს მიერ“

პროკურორ ვეფხვაძის განცხადება



გვ.5

პარასკევი, 21 იანვარი, 2022 №15 (8793) ფასი: 60 თეთრი

# „წულუკიანი ივანიშვილს იქამდე ეყოლება, სანამ „ოცნება“ იქნება“



გვ.2

მამუკა გამყრელიძე: „დასავლეთი ცდილობს, საქართველოში მდორე სიტუაცია იყოს მანამ, სანამ მათთვის დასაყრდენი ძალა გამოჩნდება“



## „ამომრჩევლის უმრავლესობას სააკაშვილის მობრუნება არ უნდა“



გვ.4

რამაზ საყვარელიძე: „პოლიტიკაში პოლიტიკოსისთვის ციხე შეიძლება ერთგვარი რეაბილიტაციის ადგილადაც კი იქცეს“



## „თეორიულად საქართველოში რევოლუციას არ გამოვრიცხავ“

გია ნოდია: „ოპოზიცია არათანმიმდევრულად იქცევა. მისი ბოიკოტი შეცდომა იყო, ნახევარბოიკოტი – მით უმეტეს“



გვ.3

## „სააკაშვილი საქართველოს მოქალაქე არ არის და რიგგარეშე არჩევნებს როგორ ითხოვს?!“



გვ.4

დათო ლორთქიფანიძე: „თავს ნუ მოვიტყუებთ, ნაცების გააქტიურებას ველოდები, საკმაო რესურსი აქვთ“

## „რუსებმა ამერიკელებს კულუარებში კელი დენანის გაწვევა მოსთხოვეს“



გვ.3

მირიან მირიანაშვილი: „მიმდინარე წელი საქართველოსთვის ბოლო 30 წლის განმავლობაში ყველაზე სერიოზული ძვრების წელი იქნება“

## სოზარ სუბარი: „გახარიას პარტია და ნაციონალები ხელისუფლების წინააღმდეგ მოქმედებენ“



გვ.2

ISSN 1987-9385

2 „შეიძლება, პურისა და ფქვილის დეფიციტამდე მივიდეთ“

5 ცომაია, ნარიმანიძე და მამა-შვილი წოწორიები გირაოთი გაათავისუფლეს

5 „მამუკა მიქაუტაძემ თბილისის ზღვაზე თავი მოიკლა“ საქართველომ სტრასბურგში სასამართლო წააგო

6 ბრიტანეთი ნიღბებისა და კოვიდსაშვების ტარების ვალდებულებას აუქმებს

# „წულუკიანი ივანიშვილს იქამდე ეყოლება, სანამ „ოცნება“ იქნება“

## მამუკა გამყრელიძე: „დასავლეთი ცდილობს, საქართველოში მდორე სიტუაცია იყოს მანამ, სანამ მათთვის დასაყრდენი ძალა გამოჩნდება“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი დიპლომატი მამუკა გამყრელიძე პასუხობს.**



***– ბატონო მამუკა, დღეს ბევრი საუბრობს იმის თაობაზე, რომ ოპოზიცია ძალიან დასუსტებულია და სათანადო ოპონირებას ვერ უწევს ხელისუფლებას. ხელისუფლება სწორედ ამიტომ გაზულუქდა, იღებს იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მას სურსო. რას იტყვით ამ ყველაფერთან დაკავშირებით?***

– უპირველეს ყოვლისა, მე არ ვიტყოდი იმას, რომ მთლიანი ოპოზიცია ასე ერთგვარად უნდა შევაფასოთ. ახლაა პერიოდი, როდესაც ოპოზიცია მიხვდა, რომ ვადამდელი არჩევნები ნაკლებად რეალურია. მინიმალურია იმის შანსი, რომ ვადამდელი იყოს. ამიტომ ახლა ოპოზიციაში გადაჯგუფება მიმდინარეობს. დღეს ნაცმოძრაობა გამოირჩევა თავისი აქტივობით, მაგრამ ეს აქტივობაც ჯერჯერობით არაფრისმომცემია.

***– პარტიის თავმჯდომარის შეცვლამ შიგნით დიდი არეულობა და დაპირისპირება გამოიწვიაო. ასეა?***

– მე დიდად ჩახედული არა ვარ მათ საქმიანობაში, უბრალოდ, ვხედავ, რომ მუდმივი რაღაცა აქტივობა აქვთ, რომელიც, საბოლოო ჯამში, არაფრისმომტანია. რაც მთავარია, მაქსიმალური ფოკუსირება აქვთ თავიანთი ლიდერის ციხიდან გამოყვანაზე, რის გამოც დიდი მიზანი, რომელსაც ხელისუფლების შეცვლა ჰქვია, ზარალდება.

***– ის პოლიტიკური პარტიები, რომლებიც მათი ქოლგის ქვეშ მოიაზრებოდნენ, მათი პოლიტიკით საკმაოდ დაზარალდნენ. სწორედ ამიტომ ხომ არ მიდის ახალი გადალაგება?***

– კი, მთლიანად გადალაგების პროცესი მიმდინარეობს. ოპოზიცია შესანიშნავად მიხვდა და უკვე მედიაც კარგად ხვდება, რომ ასეთი პოლარიზებით არაფერი გამოვა. აქეთ ხელისუფლება, იქით ნაციონალური მოძრაობა და მათთან აპელირებული ძალები ერთმანეთს რეალურად კვებავენ. მათ აწყობთ ასეთი სიტუაცია და ამით, სამწუხაროდ, ქვეყანა ზარალდება. ამიტომ ცენტრში მდგომმა პარტიებმა ნელა დაიწყეს მოძრაობა, კონსულტაციებიც იქნება, იქნება სხვადასხვა ტიპისა და კონსტრუქციის კავშირების მოძებნა. საბოლოო ჯამში, შემდგომ არჩევნებზე ჩვენ მივიღებთ სამ ცენტრს: ხელისუფლების, ნაცმოძრაობისა და მასთან აპელირებული ძალების და ასევე იქნება შუაში მდგომი რამდენიმე ჯგუფი.

***– ოპოზიციის ერთი ნაწილი მიხვდა, რომ ნაციონალური მოძრაობის ქოლგის ქვეშ დგომა მათ აზარალებს?***

– ეს, პირველ რიგში, პარტიებს კი არა, სახელმწიფოს, ქვეყანას აზარალებს.

***– მათ შედეგსაც არჩევნებზე. არა?***

– დიახ, შედეგიც არაფრისმომცემია და, თუ რაღაცა გაერთიანება არ მოხდა, დაზარალდება ყველა, განსაკუთრებით – პატარა პარტიები. საბოლოო ჯამში, ისევ ამ პოლარიზებას მივიღებთ. ამას უნდა მოეღოს ბოლო, ამას გვიკიჟინებენ ჩვენ დასავლელი პარტნიორები, რომ უნდა დამთავრდეს ეს პოლარიზება. არაფერი კარგი არ მოაქვს ამას. წინ ვერ მიდის ქვეყანა. დიდი იმედი მაქვს, რომ ის პერიოდი, რომელიც მომავალ არჩევნებამდე იქნება, დაეთმობა ცენტრის გაძლიერებას. ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, თუ ბიზნესიც გაითავისებს ამ ყველაფერს. დღეს ბიზნესი აფინანსებს მხოლოდ ხელისუფლებას, რაღაც ნაწილში – ნაციონალურ მოძრაობას და ძალიან მცირე ნაწილი – ცენტრში, მაშინ როდესაც სწორედ იქ არის სტაბილურობის საფუძველი. დღეს კიდევ სწორედ სტაბილური გარემო სჭირდება ბიზნესს. როდესაც ბიზნესი ამას მიხვდება, მაშინ სიტუაციაც გამოსწორდება.

***– რა ხდება ხელისუფლების შიგნით? დღეს აქტიურად საუბრობენ იმის შესახებ, რომ პრემიერი ღარიბაშვილი წასასვლელად ემზადება. ასევე საუბარია მას და კობახიძეს შორის არსებულ დაპირისპირებაზე. უკვე „ოცნების“ წევრებიც აღარ მალავენ ამას. ვინ გადაწონის?***

– მე დიდი ხნის წინ მეგონა, რომ ღარიბაშვილი წავიდოდა. არჩევნების შემდეგ, წესით, მალევე უნდა გაეშვათ. ახლა ველოდები, რომ მალე უნდა გაუშვან. ჩემი აზრით, ღარიბაშვილმა უკვე შეასრულა თავისი როლი. ბიძინა ივანიშვილს ახლა უკვე სჭირდება ისეთი ადამიანი, რომელსაც პარტიაშიც დიდი გავლენები ექნება და პარლამენტშიც, რადგან ახლა ძირითადი პროცესები სწორედ პარლამენტში გადაინაცვლებს. კობახიძე საინტერესო ფიგურა იქნება, თუ მას პრემიერის რანგში ვიხილავთ. მე მეგონა, კუჭავას დანიშნავდნენ. სამწუხაროდ, ის სულ სხვაგან გაუშვეს.

***– კუჭავამ უკვე უფლებამოსილების შეწყვეტით მიმართა პარლამენტს.***

– რამდენადაც ვიცი, მას საკმაოდ დიდი პროექტის ხელმძღვანელად ნიშნავენ. ახალგაზრდა ადამიანისთვის ეს ბევრად უფრო საინტერესო პროექტია, ვიდრე პარლამენტში დეპუტატების გაშველება-დაზავება. მე ნამდვილად მივესალმებოდი, რომ პრემიერად დაენიშნათ. ეს ძალიან კარგი იქნებოდა დასავლეთის თვალში და დასავლეთთან ურთიერთობისთვის, თუმცა გუნდში ცოტა სხვანაირად გადაწყვიტეს.

***– კობახიძე უძლეველ ფიგურად ჩამოყალიბდა? უშვებს პრემიერ-მინისტრებს და თვითონ ადგილზე რჩება.***

– კობახიძე, როგორც ჩანს, ძალიან კარგი მებრძოლი აღმოჩნდა, კარგად იცის პარტიის ქვედადინებები და, როგორც ჩანს, კარგად შეუძლია ლავირება ამ დინებებს შორის, თანაც საკმაოდ სერიოზული გავლენა აქვს, უფრო ზუსტად, ყველაზე დიდი გავლენა აქვს პარლამენტში. აქედან გამომდინარე, ძლიერი ფიგურაა, რა თქმა უნდა. საბოლოო ჯამში, პრემიერის ბედსაც ყოველთვის პარტია წყვეტს.

***– კობახიძე ხისტი და პირდაპირია და სწორედ ასეთი პიროვნება სჭირდება ივანიშვილსო. ასე ფიქრობთ თქვენც?***

– ბიძინას უყვარს ხისტი ხალხი. ხომ ხედავთ, აგერ, წულუკიანი, იყო, არის და ალბათ ბოლომდე დარჩება, სანამ „ოცნება“ იქნება. პარლამენტშიც ისეთი ხალხისგან მესმის ეს ხისტი გამონათქვამები, რაც მათთვის აბსოლუტურად არაბუნებრივია. ამით ცდილობენ, თავი მოაწონონ ივანიშვილს. ივანიშვილი ისეთ ხალხს არჩევს, ვინც მოწინააღმდეგის მიმართ მაქსიმალურად ხისტი და დაუნდობელია.

***– ვის მოიაზრებთ პრემიერად?***

– ვერ გეტყვით. „ოცნების“ პირობებში პროგნოზები უმადური საქმეა. კუჭავა კარგი იქნებოდა დასავლეთთან ურთიერთობაში. ეს მომგებიან სიტუაციაში ჩააყენებდა ქვეყანას. თუმცა დასავლეთიც აღარ გვითმობს დიდ ყურადღებას. მას თავად აქვს პრობლემები და ჩვენთვის ნაკლებად სცალია.

***– ბოლო პერიოდში ძალიან ბევრს გვიტარებს დასავლეთი. რატომ?***

– ახლა ვიტყვი არაპოპულარულ რამეს: იმიტომ, რომ ვერ ხედავს შემცვლელს. ეს პოლარიზებული სიტუაციაა და ნაციონალური მოძრაობა მათთვის მისაღები არ არის. უკვე არც დიდი სანდოობით სარგებლობს ნაცმოძრაობა დასავლეთში, ამიტომ ეს მომენტიც არის. გარდა ამისა, იცით, როგორი რაღაცაა ეს დაპირისპირება რუსეთთან, ჩენთან ასე დაახლოება და ნატოში მიღება ევროპისთვის ცოტა საშიშია, ამიტომ რაღაცა პერიოდით ამ სიტუაციის გაწელვა ურჩევნიათ. ახლა შეეცდებიან, ეს ყველაფერი მდორე პროცესში გადაიყვანონ. ამიტომ გვიტარებენ ყველაფერს. მთავარია, ჩვენთან იყოს სტაბილური და მშვიდი გარემო, არ იყოს არეულობა. ეს მათთვის ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანია. როგორც კი დაინახავენ სტაბილურ და სანდო ძალას, რომელსაც შეიძლება, მომავალში დაეყრდნონ, თავად ნახავთ, როგორ გადაეწყობიან იმ ძალის დასახმარებლად. რადგან ახლა ამას ვერ ხედავენ, ამიტომ ცდილობენ, მშვიდი გარემო შეინარჩუნონ.

# სოზარ სუბარი: „გახარიას პარტია და ნაციონალები ხელისუფლების წინააღმდეგ მოქმედებენ“

– კიდევ ერთხელ გამყარდა ის, რასაც თვეების განმავლობაში ვამბობდით – გახარიას პარტია და ნაციონალური მოძრაობა შეთანხმებულად მოქმედებდნენ ხელისუფლების წინააღმდეგ.

ამის შესახებ „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს წევრმა სოზარ სუბარმა 20 იანვარს პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

აღნიშნულით სუბარი წალენჯიხის საკრებულოს თავმჯდომარედ პარტია „საქართველოსთვის“ წევრის არჩევას გამოეხმაურა.

– 20 იანვარს წალენჯიხის საკრებულოში ნაციონალური მოძრაობისა და გახარიას პარტიის კოალიციამ 14 ხმით საკრებულოს თავმჯდომარედ გახარიას პარტიის წარმომადგენელი, კორნელი სალია აირჩია.

ჩვენ აქამდეც არაერთხელ გვითქვამს, რომ ნაციონალებსა და გახარიას პარტიას ერთმანეთთან დე ფაქტო კოალიცია ჰქონდათ გაფორმებული. ამ გადაწყვეტილებით კიდევ ერთხელ გამყარდა ის, რასაც თვეების განმავლობაში ვამბობდით – გახარიას პარტია და ნაციონალური მოძრაობა შეთანხმებულად მოქმედებდნენ ხელისუფლების წინააღმდეგ. ეს ორი პარტია რეალურად ერთი დესტრუქციული, საკუთარი ვიწროპარტიული ინტერესების გამტარებელი სუბიექტია, – განაცხადა სოზარ სუბარმა.

მისი თქმით, გახარია ჯერ პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გადადგომით, შემდეგ კი მისი პარტიის ქმედებებით ნაციონალურ მოძრაობასა და მის დესტრუქციულ დღის წესრიგს ხელს უწყობდა.

– დღეს უკვე მინიმალური კითხვის ნიშანიც ვეღარავის ექნება, რომ გახარია და მისი პარტია სააკაშვილისა და ნაციონალური მოძრაობის ინტერესების გამტარებელია. ეს ორი პარტია ერთად ცდილობს, დააზიანოს სახელმწიფო, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში ხელოვნურად შექმნას კრიზისი და იმოქმედოს საზოგადოებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების საწინააღმდეგოდ. ახლა უკვე საბოლოოდ გაივლო ხაზი და საზოგადოებისთვის გაცხადდა, რომ პარტია „საქართველოსთვის“ დამოუკიდებელი პოლიტიკური სუბიექტი არ არის. გახარიას პარტია ნაციონალური მოძრაობის არა უბრალოდ მოკავშირე, არამედ მისი გაგრძელებაა“, – განაცხადა სუბარმა.

მისი თქმით, თანამშრომლობა მხოლოდ კონკრეტულ პროექტებთან დაკავშირებით შედგება და ეს არ იქნება პარტიული და პოლიტიკური თანამშრომლობა.

– წალენჯიხაში როგორ იქნება ურთიერთობა, ამას თვითონ გადაწყვეტენ, პარტიული ურთიერთობა არ იქნება, მერს აქვს თავის ბიუჯეტი, თუ რამეს გააკეთებს წალენჯიხისთვის და წალენჯიხელების საკეთილდღეოდ, ასეთ შემთხვევაში მხარდაჭერა, ბუნებრივია, ექნება, ჩვენ ასეთ საკითხებში რაიმე პოლიტიკურ ხაზს არ ვავლებთ, ოღონდ ეს არის თანამშრომლობა კონკრეტულ პროექტებში და არავითარ შემთხვევაში პოლიტიკური და პარტიული, – განაცხადა სუბარმა.

# „შეიძლება, პურისა და ფქვილის დეფიციტამდე მივიდეთ“

– ჩვენ გვინდა, თანაბარ პირობებში ჩადგნენ ადგილობრივი მწარმოებელი და შემომტანი, რათა კონკურენცია გავუწიოთ იმპორტირებულ ფქვილს.

ამის შესახებ რადიო „პალიტრისა“ და „პალიტრანიუსის“ გადაცემა „საქმეში“ წისქვილკომბინატ „ბარაქის“ დირექტორმა ლადო ბიძინაშვილმა განაცხადა.

გადაწყვეტილების აუცილებლობას ადგილობრივი მწარმოებლები ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოებით ხსნიან. მათი თქმით, არსებულმა რეალობამ, დიდი შანსია, პურის დეფიციტი გამოიწვიოს.

– პრობლემის არსი უკვე მრავალჯერ აღინიშნა და ეს რუსეთის მიერ ხორბალზე დაწესებული საბაჟო გადასახადია, რომელიც 98 დოლარს შეადგენს, ფქვილზე კი მსგავსი გადასახადი არ არსებობს. შესაბამისად, სხვაობამ ნედლეულსა და მზა პროდუქტს შორის შექმნა პრობლემა.

ჩვენ გვინდა, თანაბარ პირობებში ჩადგნენ ადგილობრივი მწარმოებელი და შემომტანი, რათა კონკურენცია გავუწიოთ იმპორტირებულ ფქვილს.

ჩვენ რეალურად არაფერს განსაკუთრებულს არ ვითხოვთ, გარდა თანაბარი პირობებისა. დღევანდელი გადმოსახედით, ამით პურის ფასი არ გაიზრდება. რაც ჩვენთვის საბაჟო გადასახადი ამოქმედდა, ქვეყანაში 2-ჯერ გაიზარდა პურის ფასი და ეს მიბმული იყო მხოლოდ მსოფლიო ბაზრის ფასებზე.



სასურსათო უსაფრთხოების კუთხით საქართველო 2-3 თვეა, კრიტიკულ ზღვარზე ბევრად ქვევითაა. საქსტატის მონაცემები რომ ავილოთ, შეიძლება, პურისა და ფქვილის დეფიციტამდე მივიდეთ. უხეშად რომ ვთქვათ, ბოლო სამ თვეში რა მოცულობის ხორბალიც შემოვიდა, წინა წლებში 1 თვეში შემოსულ მოცულობას უდრის.

რაც შეეხება ფქვილს, თვის ჭრილში შემოდიოდა 1.200 ტონა, ბოლო პერიოდში კი 6-7 ათას ტონაზეა საუბარი. ეს რა თქმა უნდა, განპირობებულია საბაჟო გადასახადზე სხვაობით ამ ორ პროდუქტს შორის, მაგრამ რომ ავილოთ მოცემულობა, როცა 98 დოლარით იაფი ღირდა შემოტანა, ადგილობრივი მწარმოებლები ფქვილს 58-60 ლარად ვყიდდით. დღეს კი, შემოტანილი ფქვილის ფასი 65-66 ლარია. ყველაფერი აჩვენებს, რომ ჩვენ დამოკიდებული ვართ მეზობელი ქვეყნის გადაწყვეტილებებზე, რომელიც, როგორც წესი, არ ჯდება ლოგიკაში.

ახლა რუსეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაანონსებული აქვს შეისწავლონ, ხორბლის, სიმინდისა და ქერის გადამუშავების შედეგად მიღებულ პროდუქციაზე რამდენად შეიძლება საბაჟო გადასახადის დაწესება. აქედან გამომდინარე, ჩვენ შეიძლება მივიღოთ შედეგი, რომ ნახტომისებურად გაიზარდოს პურისა და ფქვილის ფასი, რაც ადგილზე წარმოების შემთხვევაში არ იყო, რადგან 2-3– თვიანი მარაგები მუდმივად გვქონდა და ეს გარდამავალი ნაშთი ეტაპობრივად ზრდიდა ფასს. პირდაპირი იმპორტის შემთხვევაში ეს შეუძლებელი ხდება, – განაცხადა ბიძინაშვილმა „საქმეში“.

# ამირან გამყრელიძე: „ომიკრონი საქართველოში დომინანტური შტამი გახდა“

ეპიდემიოლოგები კლინიკური სექტორის მაღალი დატვირთვის რისკზე ალაპარაკდნენ. ექიმები შექმნილ ვითარებაში კიდევ უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევენ რეკომენდაციების შესრულებას.

პირველ რიგში ეს ნიღბის ტარებას ეხება.

როგორც დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი ამირან გამყრელიძე ამბობს, შესაძლებელია ითქვას, რომ ქვეყანაში ომიკრონი გახდა დომინანტური შტამი.

– ომიკრონის ცირკულაცია ქვეყანაში იზრდება. ოფიციალურად, ლაბორატორიულად დადასტურებულია 1.400-მდე შემთხვევა, ლიდერობს თბილისი, შემდეგ კი იმერეთი და აჭარა მოდის. მაგრამ ეს არის ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევები. ქვეყანაში დადებითი შემთხვევების 70% მოდის ომიკრონზე. თბილისში ეს პროცენტი უფრო მაღალია და 80%-ია, ხოლო რეგიონებში – 40-60%. დღეს თუ ვთვლით, რომ 70%-ია, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დომინანტია, თუმცა ცირკულირებს სხვა შტამებიც, – აცხადებს ამირან გამყრელიძე.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „თეორიულად საქართველოში რევოლუციას არ გამოვრიცხავ“

## გია ნოდია: „ოპოზიცია არათანმიმდევრულად იქცევა. მისი ბოიკოტი შეცდომა იყო, ნახევარბოიკოტი – მით უმეტეს“

იაგო ნაცვლიშვილი

**ვისი პასუხისმგებლობაა ის, რომ საზოგადოებაში არ არის ისეთი პროტესტი, რომელიც ცვლილებებს გამოიწვევს? დაუშვა თუ არა ოპოზიციამ ბოიკოტით შეცდომა და რა გავლენას ახდენს საერთაშორისო კონტექსტი საქართველოზე? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი გია ნოდია საუბრობს.**

***– ვხედავთ, მუდმივად არის წუხილი, რომ საზოგადოებაში არ არის იმ ხარისხის პროტესტი, რამე შეცვალოს. ამ ვითარებაში მხოლოდ საზოგადოებაშია პრობლემა თუ პოლიტიკურ კლასში, რომელიც, როგორც ჩანს, ხალხს არ სთავაზობს იმ ცვლილებებს, რომლებიც მას სურს?***

– ორივეში, მაგრამ პოლიტიკურ კლასში – უფრო მეტად, რადგან ის არის, ვინც უნდა შესთავაზოს ვარიანტები, საიდანაც საზოგადოებამ უნდა აირჩიოს. გასაგებია, რომ ხელისუფლება ცდილობს, რაღაც ძალიან გამაღიზიანებელი არ გააკეთოს საზოგადოებისთვის, რომ მძაფრი პროტესტი არ გამოიწვიოს. ასე რომ, არსებობს საზოგადოებაში უკმაყოფილება, მაგრამ ხელისუფლება იმაზე ზრუნავს, რომ შესაძლოა ხალხი კმაყოფილი არ იყოს, მაგრამ ზომაზე მეტადაც არ გაბრაზდეს.

რაც შეეხება ოპოზიციას, ჩემი აზრით, ის თანმიმდევრულად არ იქცევა. ის ხანდახან არარეალისტურად აფასებს თავის შესაძლებლობებს, რაც გამოიხატა პარლამენტის ბოიკოტის პოლიტიკაში, რომელმაც არ გაამართლა.

***– შეცდომა იყო ბოიკოტი?***

– ჩემი აზრით, შეცდომა იყო. ეს ის ხომ არ არის, რომ გაბრაზდი უსამართლობაზე და გაიბუტე. რაღაც შედეგი უნდა მოიტანოს შენმა ნაბიჯებმა და ამაზე გათვლა უნდა ყოფილიყო. მათ გათვლა უნდა ჰქონოდათ ან იმაზე, რომ ქუჩაში გამოვიდოდა ხალხი, ან საერთაშორისო თანამეგობრობა მაინც დაუჭერდა მხარს, მაგრამ არც ერთი მოხდა და არც მეორე.

***– ამ შემთხვევაში რომელ ბოიკოტს გულისხმობთ – 2020-ის არჩევნების შემდეგ თუ ბოლოს?***

– არა, 2020-ის არჩევნების შემდგომი ბოიკოტი მაქვს მხედველობაში. ახლა ბოიკოტიც არ ყოფილა, რაღაც გაუგებარი პროცესია, ნახევარბოიკოტია.

***– ეს ნახევარბოიკოტი რამდენად სწორია?***

– არა, ნახევრად მით უმეტეს არ არის სწორი. თითქოს ისეთი განწყობები და მოლოდინები შეუქმნეს მომხრეებს, რომ ახლა სრულფასოვნად ველარ მონაწილეობენ პარლამენტის მუშაობაში.

***– რიგი პოლიტიკოსებისგან გვესმის ხოლმე, ქუჩა უნდა გამოვიყენოთო, მაგრამ რა უშლის ხელს, რომ პარალელურ რეჟიმში იბრძოლო ქუჩაშიც და საპარლამენტო ბერკეტებიც გამოიყენო?***



– არა, მე მგონი, ერთი მეორეს არ უშლის ხელს. რა თქმა უნდა, ქუჩა სრულიად ლეგიტიმური ადგილია პოლიტიკური ბრძოლისთვის, მაგრამ ეს არ უნდა იყოს ბრძოლის ძირითადი გზა. გასაგებია, რომ ექსტრემალურ ვითარებაში ის გახდეს ძირითადი, მაგრამ ხელისუფლება ახერხებს, რომ ვითარება არ მიჰყავს ექსტრემალურობამდე. ამიტომ ექსტრემალური მეთოდები არ ამართლებს. ის, რა თქმა უნდა, უნდა გამოიყენო და შეეცადო პროტესტის გაღვივებას, როდესაც ამის სამართლიანი საფუძველი არსებობს, მაგრამ მთელი სტრატეგია ამაზე არ უნდა ააგო.

***– რევოლუციურ პერსპექტივას ვერ ხედავთ იმ ვითარებაშიც კი, როდესაც არჩევნების გზით არ თმობს „ოცნება“ ძალაუფლებას?***

– რევოლუციურ პერსპექტივას ვერ ვხედავ. ეს არ ნიშნავს, რომ თეორიულად ამას გამოვრიცხავ, მაგრამ ამ ეტაპზე ვერ ვხედავ. ზუსტად ახლა გამოქვეყნდა მაგ საკითხზე ჩემი სტატია „რადიო თავისუფლებაზე“, რომ ოთხი მცდელობა იყო ბოლო წლებში პოსტსაბჭოთა სივრცეში რევოლუციისა, მაგრამ მხოლოდ ერთი მცდელობა დამთავრდა მეტ-ნაკლებად წარმატებით – სომხეთის რევოლუცია. დანარჩენი ყველა შემთხვევა წარუმატებელი იყო. ასე რომ, რევოლუცია უკიდურესი გზაა, რომელიც შეიძლება გამოგივიდეს ან არა, მაგრამ, როცა სხვა გზა არ გაქვს, ამ რისკზე უნდა წახვიდე. როცა არსებობს სივრცე, იქნება ეს საპარლამენტო თუ სხვა, უნდა გამოიყენო. კი ბატონო, უსამართლობა, უთანასწორობა და ა.შ. ბოლომდე უნდა გამოიყენო.

***– როდესაც ცვლილებებზე ვსაუბრობთ, ალბათ საერთაშორისო კონტექსტიც გასათვალისწინებელია. იმავე რევოლუციურ სცენარში ალბათ მნიშვნელოვანია საერთაშორისო მხარდაჭერა. ახლა, როცა დაძაბული ვითარებაა, ეს რამდენად მოახდენს გავლენას ჩვენს შიდაპროცესებზე?***

– ზოგადად, საერთაშორისო ვითარება არ არის მაინცდამაინც ხელსაყრელი დემოკრატიის განვითარებისთვის. შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო ტენდენცია დემოკრატიის დასუსტებისკენ არის მიმართული, განსაკუთრებით კი ჩვენს რეგიონში. გამონაკლისია სომხეთის რევოლუცია. საქმე უარესობისკენ მიდის ბოლო 10-15 წლის განმავლობაში და ეს გარემო კარგი არ არის ამ თვალსაზრისით.

მაგრამ ეს საკმარისი საფუძველი არ არის იმის სათქმელად, რომ ვითარების შეცვლა შეუძლებელია. პროგრესი მაინც შესაძლებელია. სომხეთში არის თუ არა დიდი პროგრესი, ძნელი სათქმელია, მაგრამ რაღაც პროგრესი მაინც არის დემოკრატიის თვალსაზრისით. კი, საგარეო ფაქტორები, ჯამში, მომგებიანი არ არის, მაგრამ არც ისეთია, რომ ჩვენ ვერ შევძლოთ ცვლილებების განხორციელება იმ მხრივ, რომ პოლიტიკა სწორად წარიმართოს.

***– ბოლო წლებში ხომ არ გამოჩნდა, რომ გარკვეული პრინციპულობა დაკარგა დასავლეთმა ჩვენს რეგიონთან მიმართებით? ბაიდენი აცხადებს, რომ რუსეთს არნახულ სანქციებს დაუწესებს, მაგრამ იქვე ამატებს, რომ უკრაინა უახლოეს პერიოდში ნატოს წევრი ვერ გახდება. ეს მიდგომა როგორ უნდა გავიგოთ?***

– რა თქმა უნდა, თანმიმდევრული პოლიტიკა არა აქვს დასავლეთს ამ რეგიონთან მიმართებით და ეს დაიწყო ობამას პრეზიდენტობის დროს. ეს არ არის ახალი ამბავი. ამის მიზეზია მკაფიო პოლიტიკის არქონა თუნდაც ვაშინგტონში და თუნდაც განსხვავებული დამოკიდებულებები ევროპაში. ეს არის რეალობა და გაზვიადებული მოლოდინები არ უნდა გვქონდეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ დასავლეთს დავაბრალოთ ჩვენი წარუმატებლობა. დასავლეთი სხვა ქვეყნებში ვერ დაამყარებს დემოკრატიას. როდესაც მცდელობები იყო ერაყსა და ავღანეთში დემოკრატიის დამყარების თვალსაზრისით, ამას დიდი წარმატებები არ მოჰყოლია. დემოკრატია მაინც ისეთი პროექტია, რომ ის ქვეყნის შიდაპროცესებით უნდა ჩამოყალიბდეს.

***– ელოდებით რუსეთის კონფრონტაციას უკრაინაში?***

– არ ვიცი. ყველა ცდილობს, გაიგოს, რა მოხდება, მაგრამ, ვშიშობ, რომ ამის ალბათობა რეალურია, კერძოდ კი ის, რომ რუსეთის მხრიდან რაღაც სამხედრო კომპონენტი შეიძლება იყოს.

***– რუსეთი დასავლეთთან სავაჭროდ ხომ არ იყენებს ძალისმიერ მეთოდებს?***

– რა თქმა უნდა, სავაჭროდ იყენებს, მაგრამ, რაღაც რომ სავაჭროდ გამოიყენო, რაღაც მოქმედებაც უნდა ჩაიდინო და სწორედ ასე ხედავს ამას პუტინი. საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი დასავლეთთან ვაჭრობაა, მაგრამ იმისათვის, რომ რაღაცას მიაღწიო, ძალისმიერი მეთოდები უნდა გამოიყენო. როგორც ჩანს, პუტინს ეს გადაწყვეტილება აქვს მიღებული.

# „რუსებმა ამერიკელებს კულუარებში კელი დეგნანის გაწვევა მოსთხოვეს“

## მირიან მირიანაშვილი: „მიმდინარე წელი საქართველოსთვის ბოლო 30 წლის განმავლობაში ყველაზე სერიოზული ძვრების წელი იქნება“

მარიამ მჭედლიშვილი

**ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე პროცესებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა პოლიტიკური ორგანიზაცია „ერის“ თავმჯდომარეს, ყოფილ დეპუტატს მირიან მირიანაშვილს.**

***– დასავლელი ექსპერტები მოელიან რუსეთის მხრიდან უკრაინაში შეჭრას. ბევრი მათგანი ვარაუდობს, რომ კრემლი ომის დასაწყებად სხვა ტერიტორიას აირჩევს. საქართველოსთვის საყურადღებო უსაფრთხოების თემით დავიწყოთ.***

– ერთ-ერთ ინტერვიუში გითხარით, რომ თავდაპირველად მოსკოვს სხვა გეგმა ჰქონდა. განზრახული იყო მიმართვების გავრცელება საქართველოსა და უკრაინისადმი. თავდაპირველი სცენარი შეიცვალა და რუსეთმა ულტიმატუმით მიმართა აშშ-ს. ამერიკისა და ნატოსადმი გაგზავნილი მიმართვა პირდაპირი მნიშვნელობით არ გახლავთ ულტიმატუმი. ულტიმატუმი, როგორც წესი, გულისხმობს სასანქციო ნაწილს, ანუ მოქმედებებს იმ შემთხვევაში, თუ არ შესრულდა მოთხოვნა. ვაშინგტონისადმი გაგზავნილ წერილში ამგვარი არაფერია ჩადებული. კრემლი ვაშინგტონის მიმართ მოზომილი და მორიდებულია. რუსეთი სხვანაირად ექცევა უკრაინასა და საქართველოს. იმ წერილებში, რომლებიც კიევისა და თბილისისთვის იყო განკუთვნილი, იყო სასანქციო ნაწილი.

***– იქნებ გვითხრათ, რით იმუქრებოდა რუსეთი? მოთხოვნა, ალბათ, ნატოზე უარი იყო.***

– ნატოზე უარი და იმის დაპირება, რომ საქართველო უარს იტყვის მომავალში ამერიკის ბაზების (ასევე თურქეთის ბაზების) თავის ტერიტორიაზე განთავსებაზე. ამასთან, რუსეთი იმუქრებოდა, რომ მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოახდენდა სტრატეგიული ობიექტების (მათ შორის, პორტების) ოკუპაციას. რუსეთი აშკარად ემზადებოდა საქართველოზე დარტყმისათვის. საომარი დარტყმა არ მაქვს მხედველობაში. იმის გამო, რომ მისთვის უკრაინა უფრო პრიორიტეტულია, ხოლო საქართველოში მაღალია რუსეთის აგენტურული შეღწევადობა, კრემლი ამ ეტაპზე უკრაინაზე გადაერთო.



***– თუმცა საქართველო აშშ-რუსეთის მოლაპარაკებებზე ერთ-ერთ თემად განიხილებოდა.***

– რასაკვირველია. ღია საუბრის გარდა, საქართველოზე ფარული დიალოგიც შედგა. იცით, რა დააყენეს რუსებმა კულუარებში? მათ მოითხოვეს საქართველოში აშშ-ის ელჩის, კელი დეგნანის გაწვევა. ამაზე მტკიცე უარი მიიღეს. კელი დეგნანი არის ელჩი, რომელიც მოქმედებს ვაშინგტონში განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში. ის სერიოზულად უშლის ხელს რუსულ პოლიტიკურ კონტროლს საქართველოში. რუსებისთვის ეს დიდი პრობლემაა. ისინი თვლიან, რომ ელჩი დეგნანი აგრესიულად მოქმედებს. დააკვირდით, როგორ იქცევა აქტიური და გაპიარებული ქართული პოლიტიკური სპექტრი ამ უმნიშვნელოვანეს მომენტში, როცა ერთმანეთს უპირისპირდებიან აშშ და რუსეთი.

***– როგორ იქცევა?***

– ჯერჯერობით გასუსულია. ამ პოლიტიკურ სპექტრში ვგულისხმობ როგორც მმართველ პარტიას, ისე ნაციონალურ მოძრაობასა და ბევრ სხვა პარტიას. ეს პოლიტიკოსები, რომლებიც თავს პროდასავლელებად ასაღებენ, ელიან რუსეთის რაღაც წარმატებას.

***– ყველა გასუსული არ არის. „პატრიოტთა ალიანსის“ ინიციატივით შეიქმნა ეროვნულ-პატრიოტული ფრონტი, რომელიც ძალიან აქტიურობს საქართველოს ნეიტრალიტეტის საკითხში.***

– კრემლის ფარული გეგმა საქართველოს ნეიტრალიტეტის თაობაზე დიდი ხანია არსებობს. ამ გეგმის მიხედვით, უნდა გაიმართოს რეფერენდუმი, სადაც, რუსების გათვლით, მოსახლეობა უარს ეტყვის ნატოს. ამის შემდეგ ჩანაწერი ნეიტრალიტეტზე შევა კონსტიტუციაში. ნებისმიერი აქტივობა საქართველოს ნეიტრალიტეტის შესახებ დირიჟირებულია კრემლიდან. უნდა გითხრათ, რომ ფარულად ნეიტრალიტეტს მხარს უჭერენ არა მარტო ისინი, რომლებზეც თქვენ მკითხეთ. ნეიტრალიტეტს მომხრეები ჰყავს ხელისუფლებასა და სხვა ოპოზიციაში ანუ ფსევდოდასავლურ ძალებში. მოსკოვიდან ცრუ მედასავლეთეებს მიღებული აქვთ დირექტივა, რომ როგორც კი რუსეთი წარმატებას მიაღწევს ან ნეიტრალიტეტს გამოაცხადებს, მათ ნიღაბი უნდა ჩამოიხსნან.

***– ანუ აღარ უნდა იძახონ, პროდასავლელები ვართო?***

– დიახ. რუსული აგენტურა აქტიურია სპეცსამსახურებში, ასევე – პარტიებში. კელი დეგნანი ამ აგენტურას აბრკოლებს. ამიტომ რუსეთს უნდა, რომ აშშ-ს საქართველოში ჰყავდეს არა ისეთი ქმედითი ელჩი, რომელიც კიდევ უფრო გააქტიურდება, არამედ, ნომინალური. ბოლო 28 წლის განმავლობაში აშშ-ს საქართველოში სწორედ ნომინალური ელჩები ჰყავდა.

***– რუსეთმა რა წარმატებას უნდა მიაღწიოს უახლოეს ხანში, უკრაინაში ან სხვაგან შეიჭრას?***

– რუსეთის წარმატებისათვის, მით უმეტეს გამარჯვებისათვის არავითარი წინაპირობა არ არსებობს. რუსულ აგენტურას მაინც რაღაცის იმედი აქვს. მას შემდეგ, რაც რუსეთმა ცნობილი ულტიმატუმები წამოაყენა, ამ პოლიტიკურ სპექტრს უნდა გაეფორმებინა უკრაინის მხარდამჭერი დოკუმენტი. პრორუსული ბანაკი რომ უკრაინის წინააღმდეგია, ეს ცხადია. მე ვსაუბრობ სხვა პოლიტიკურ ბანაკზე, რომელიც უცნაურად არის გატვრენილი. ეს დასავლელი ექსპერტების გაოცებას იწვევს. უკრაინაში აშშ-ს ამჟამად ელჩი არ ჰყავს. თუ რუსები უკრაინაში შეიჭრებიან, კელი დეგნანისთანა აქტიური ელჩი გაეგზავნებათ ვაშინგტონიდან. ამერიკას უკრაინაში ელჩი არ ჰყავს, თუმცა იქ ისეთი პროცესები დაიქოქა, რომელიც ძირფესვიანად ცვლის პოლიტიკურ სისტემას. უკრაინაში ხდება ის, რასაც ვაანონსებდი საქართველოსთან მიმართებით.

***– ახალი პოლიტიკური რეალობაა?***

– უკრაინაში კანონით აიკრძალა პრორუსული პარტიები. მალე ფსევდოდასავლურ პარტიებს აკრძალავენ. შესაბამის პროექტზე მუშაობა ახლა მიმდინარეობს. ფსევდოდასავლელების დათრგუნვა და „დაპრესვა“ მიმდინარეობს. პუტინის ნათლულ პრორუს მედვედჩუკს გამოაცალეს ფინანსური იმპერია და თავისი მედია. პოროშენკო და სააკაშვილი ზუსტად ერთნაირ მდგომარეობაში არიან.

***– პოროშენკოს პირობითი სასჯელი შეუფარდეს.***

– პირობითი შეუფარდეს წინასწარი გამოძიების დროს. მას აუკრძალეს უკრაინის დატოვება. შემდეგ ის მოხვდება ციხეში. ოფიციალური ბრალის გარდა, მისი არააფიშირებული დანაშაულია რუსული ინტერესების გატარება. პოროშენკო და სააკაშვილი კურსელები არიან. ორივე რუსეთს ემსახურებოდა. პოროშენკოს ორგანიზებით გაფორმდა „მინსკი 2“-ის ხელშეკრულება, რომელიც ნიშნავს უკრაინის კაპიტულაციას. როცა პოროშენკოს პარტიაზე მასალები გამომიგზავნეს, გავოცდი, ისეთი მსგავსება ვნახე ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან. მოგეხსენებათ, ეს პარტია თავის დროზე მე დავაფუძნე, შემდეგ ენმ სააკაშვილს ჩაუგდეს ხელში. კადრების შერჩევის საკითხშიც კი მსგავსება იყო. ახლა პოროშენკოს ფსევდოდასავლურ პარტიას შავი დღე უდგას. მიმდინარეობს მისი დემონტაჟი. კულუარებში რუსები საქართველოს პოლიტიკურ სისტემა-

გაგრძელება მე-4 გვერდზე



**შევიძენ**

ძველ ანტიკვარულ ნივთებს,

ნახატ სურათებს,

ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

# „ამომრჩევლის უმრავლესობას სააკაშვილის მობრუნება არ უნდა“

## რამაზ საყვარელიძე: „პოლიტიკაში პოლიტიკოსისთვის ციხე შეიძლება ერთგვარი რეაბილიტაციის ადგილადაც კი იქცეს“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**



***– ბატონო რამაზ, მეუფე ნიკოლოზის ხელისუფლებისადმი შეთავაზებას, რომ მიხეილ სააკაშვილმა შინაპატიმრობა მის ეპარქიაში გაატაროს, ხელისუფლებისა და ნაციონალური მოძრაობის მხრიდანაც უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. თქვენ როგორ აფასებთ შექმნილ რეალობას?***

– სიმართლე გითხრათ, ცოტა უცნაური მომეჩვენა ეს შეთავაზება, რადგან მკრეხელობა გამოდის, როდესაც ადამიანს ციხის მაგივრად მონასტერში სთავაზობენ წასვლას. ეს ბოლო შეთავაზება სააკაშვილის ბედ-იღბალთან დაკავშირებით ცოტა არაადეკვატური ვერსიაა და მეტი არაფერი. არა მგონია, ამ შეთავაზებას განვითარება მოჰყვეს.

***– სააკაშვილი აცხადებს, რომ, საქართველოს ხელისუფლებისგან განსხვავებით, უკრაინა იცავს ცივილიზაციის წესებს, რომ ყოფილი პრეზიდენტების ციხეში ჩასმას მაღალი სტანდარტი სჭირდება. ის პოროშენკოს მაგალითზე საუბრობს, რომელიც უკრაინის სასამართლომ არ დააპატიმრა.***

– თუ მიხეილ სააკაშვილი თავის საქმეს ადარებს პოროშენკოს საქმეს და ერთგვარ პარალელს ავლებს, მაშინ მეც გავავლებ ერთგვარ პარალელს, როგორ მოიქცა პოროშენკო და როგორ მოიქცა სააკაშვილი. პოროშენკო უკრაინაში არ შეპარულა. ის ღიად, საზღვრის გავლით შევიდა უკრაინაში და პირდაპირ სასამართლო პროცესზე მივიდა, განსხვავებით სააკაშვილისგან. პოლიტიკაში ასეთი საქციელიც გარკვეულ სტანდარტად ფასდება. ის უშიშრად შევიდა ქვეყანაში და მზადყოფნა განაცხადა, სასამართლოს გადაწყვეტილებას დამორჩილებოდა, რადგან მან წინასწარ არ იცოდა მოსამართლის ვერდიქტი.

როგორ მოიქცა სააკაშვილი?! დღემდე ვერ ეგუება ციხეში არსებობას. მისი მხარდამჭერები ხან საზღვარგარეთ ითხოვენ სამკურნალოდ წაყვანას, ხანაც მონასტერში გადასვლას სთავაზობენ, ყველაფერს, გარდა ციხისა. მეტიც, ეს ხალხი თანახმაა, შეურაცხადადაც კი გამოაცხადონ, ოღონდ ციხის კედლებს მოაცილონ. ამ დროს ხომ უნდა აცნობიერებდე, რომ პოლიტიკოსისთვის ციხე შეიძლება ერთგვარი რეაბილიტაციის ადგილადაც კი იქცეს.

ისტორიამ უამრავი პოლიტიკოსი იცის, რომელთა მდგომარეობაც სწორედ ციხემ გააძლიერა. თუ ეს საკითხი მას საერთოდ აინტერესებს, ამაზე უნდა დაფიქრდეს. როგორ შეიძლება, პოლიტიკოსს ასეთი აუტანლობა ჰქონდეს ციხისა. ხომ უნდა ჰქონოდა გათვლილი, რომ მისი გადაწყვეტილება შეიძლებოდა, ერთ-ერთი ვერსიით, ციხითაც დასრულებულიყო. ამის მზაობა ხომ უნდა გამოეჩინა.

პოროშენკო ცდილობს, ეს საქმე მოიგოს, დაამტკიცოს თავისი სიმართლე და არა ვინმეს შეაცოდოს თავი. სააკაშვილის შემთხვევაში კი რა ხდება – პირიქითაა ყველაფერი. სააკაშვილს, როგორც ყოფილ პრეზიდენტს, ხომ უნდა აღელვებდეს, რა თვალით შეხედავენ მას მოქალაქეები.

***– დეპუტატი ჰერმან საბო ამბობს, რომ ოპოზიცია უნდა იყოს ერთიანი, მაგრამ არა სააკაშვილის საქმის გარშემო მოხდეს კოორდინაცია, რადგან, თუ ასე მოხდა, მაშინ ოპოზიცია „ქართულ ოცნებასთან“ მარტივად წააგებს. რას იტყვით?***

– ამ კონკრეტულ შეფასებაში სრულად დავეთანხმებოდი დეპუტატ საბოს. ეს ყოველივე კონკრეტულ მაგალითებსა და შედეგებზე ვნახეთ. ეს არ არის ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნა.

უფრო კონკრეტულად შემიძლია ამ საკითხზე ვისაუბრო: 2012 წლიდან მოყოლებული, ოპოზიცია მონაწილეობს ყველა არჩევნებში და აგებს ყველა არჩევნებს. აგებს იმ ტაქტიკიდან გამომდინარე, რომელიც მას აქვს დღემდე. ეს არის ნაციონალური მოძრაობის ქოლგის ქვეშ ყოფნა.

***– ფრაგმენტირებული ოპოზიცია უფრო მეტ შედეგს დადებს?***

– ოპოზიციის ფრაგმენტაციაზე არ არის საუბარი. რა შედეგის მომტანია მისთვის ნაციონალური მოძრაობის ქოლგის ქვეშ ყოფნა?! ვხედავთ, რომ დღემდე არაფრის მომტანი არ არის. რატომ? იმიტომ, რომ ამომრჩევლის აბსოლუტურ უმრავლესობას არ უნდა, სააკაშვილი და მისი გუნდი კვლავ დაბრუნდეს მართვის სადავეებთან. ეს არის რეალური მიზეზი.

***– კოალიციურ მმართველობაზე როდესაც აკეთებს ოპოზიცია აქცენტს?***

– არ არის ეს დამაჯერებელი. ოპოზიციაში ყველაზე მეტი ამომრჩეველი ნაციონალურ მოძრაობას ჰყავს. მთავრობაში პორტფელები მიღებულ ხმათა რაოდენობით ნაწილდება. მაშ, რა გამოდის?! პრემიერის პოსტს, მინისტრთა კაბინეტში ძალოვან უწყებებს ნაციონალები გადაინაწილებენ და კულტურის სამინისტროს მისცემენ დანარჩენ ოპოზიციას. ამიტომ, მგონია, რომ წინასაარჩევნოდ მომხიბვლელად გამოიყურება, თუ ისმინება ასეთი ფრაზები: კოალიციური მმართველობა, ვაკონტროლოთ ერთმანეთი, ერთად ვმართოთ და ა.შ. პოლიტიკა უფრო მძაფრი რეალობებისგან შედგება.

# „სააკაშვილი საქართველოს მოქალაქე არ არის და რიგგარეშე არჩევნებს როგორ ითხოვს?!“

## დათო ლორთქიფანიძე: „თავს ნუ მოვიტყუებთ, ნაცების გააქტიურებას ველოდები, საკმაო რესურსი აქვთ“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს მე-8 მოწვევის პარლამენტის დეპუტატი „ქართული ოცნებიდან“ დათო ლორთქიფანიძე პასუხობს.**

***– ბატონო დათო, დღეს სააკაშვილის მიერ საქართველოს საზღვრის უკანონო კვეთის საქმეში ბრალდებულებს პატიმრობა გირაოთი შეუცვალეს და დარბაზიდან გაათავისუფლეს. ეს თქვენთვის რას ნიშნავს? ხომ არ შემსუბუქდება ამ საქმეზე სააკაშვილის მიმართ წაყენებული ბრალი?***

– პირიქით. როგორ შეიძლება, ამ საქმეში ბრალდებულების გათავისუფლებამ სააკაშვილის მიმართ ბრალის შემსუბუქება გამოიწვიოს, როდესაც ბრალდებულებმა დანაშაული აღიარეს. ისინი გირაოთი არიან გათავისუფლებული. ეს არ არის სააკაშვილისთვის სასარგებლო გადაწყვეტილება, რადგან დამნაშავეები აღიარებენ დანაშაულს, საზღვრის უკანონო კვეთას. მათთან ერთად საზღვარი მიხეილ სააკაშვილმა გადმოკვეთა. მოცემულობა ისეთია, სააკაშვილისთვის პოზიტიურ დღის წესრიგს არ ქმნის.

***– ცოტა ხნის წინ სააკაშვილის ადვოკატებმა გაახმოვანეს, რომ მიშა რიგგარეშე არჩევნებს მოითხოვს, ფიქრობს, რომ თუკი რიგგარეშე არჩევნები დაინიშნება, ეს იმთავითვე „ოცნების“ დამარცხების საწინდარი იქნება. რა შემთხვევაში შეიძლება დასთანხმდეს „ოცნება“ რიგგარეშე არჩევნების დანიშვნას?***

– საერთოდ, რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა დემოკრატიისაგან შორს არ არის, ნებისმიერ განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყანაში ჩვეულებრივი თემაა, ოღონდ ამას სათანადო პირობები სჭირდება.

***– რა პირობები სჭირდება?***

– ქვეყანაში ისეთი სახის მღელვარება უნდა იყოს, რომლის განსამუხტავად ერთადერთი შანსი რიგგარეშე არჩევნები იქნება. საქართველოში დღეს მსგავსი არაფერია. სააკაშვილი რა განცხადებებს გააკეთებს, ეს მისი უფლებაა – მას შეუძლია, რიგგარეშე არჩევნები მოითხოვოს და ამისთვის იღვაწოს. რა აქვს ჩაფიქრებული, არ ვიცი, მაგრამ, რატომ ითხოვსო, ნამდვილად ვერ ვიტყვი. თუმცა აქ ერთი მომენტია – სააკაშვილი საქართველოს მოქალაქე არ არის.

***– საქართველოს მოქალაქე არ არის და რიგგარეშე არჩევნებს ითხოვს.***

– ადამიანი საქართველოს მოქალაქე არ არის და საქართველოში რიგგარეშე არჩევნებს ითხოვს. ოპონენტები მეტყვიან, სააკაშვილი მსოფლიო დონის პოლიტიკოსიაო.

***– მსოფლიო მოქალაქე.***

– ასეთი განმარტება არ არსებობს. მას შეუძლია, მოითხოვოს რიგგარეშე არჩევნები საქართველოშიც, უკრაინაშიც, საფრანგეთშიც, პოლონეთშიც, რომელიც მას ძალიან უყვარს – ჩვენი მეგობარი ქვეყანაა.

ასე რომ, სააკაშვილი რას ითხოვს, ამ შემთხვევაში გადამწყვეტი არ არის. მთავარია, ნაცმოძრაობამ, რომლის ლიდერადაც ის თავს გრძნობს, მოახერხოს ისეთი ვითარების შექმნა, როდესაც რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა საჭირო გახდება. დღევანდელი მოცემულობით, ისინი რიგგარეშე არჩევნების დანიშვნისთვის საჭირო ვითარების სიახლოვესაც ვერ მიდიან.

***– პოლიტიკის კანონი როგორია, თუკი ხელისუფლება რიგგარეშე არჩევნებს ნიშნავს, მმართველი პარტია იმთავითვე მარცხისთვის არ არის განწირული?***

– არა, მაგას არ ნიშნავს. პირიქითაც შეიძლება იყოს, როდესაც ამა თუ იმ ქვეყანაში მმართველ პოლიტიკურ ძალას შინაგანი მრწამსი აქვს იმისა, რომ ის ყველა შემთხვევაში არჩევნებს მაინც მოიგებს. ცხადია, ყველაფერი კარგად იქნება. მმართველი პოლიტიკური ძალა რა გადაწყვეტილებას მიიღებს, ეს მხოლოდ და მხოლოდ ამ მმართველი პოლიტიკური ძალის გადასაწყვეტია, ოღონდ რიგგარეშე არჩევნების დანიშვნისთვის უნდა არსებობდეს პოლიტიკური გარემო, რომელიც ქვეყანას აყანყალებს. ასეთი ვითარება ქვეყანაში ნამდვილად არ არის.

ანუ ერთია, როდესაც ძალა რიგგარეშე არჩევნებს ითხოვს, მეორეა, რამე შანსი უნდა ჰქონდეს, რომ რიგგარეშე არჩევნების გზით ხელისუფლებაში მოვა.

***– რატომ ჰგონია ნაცმოძრაობას, რომ რიგგარეშე არჩევნები მისთვის გამოსავალია?***

– არ ვიცი. საერთოდ, ადამიანებს რიგ შემთხვევაში ძალიან ბევრი რამ ჰგონიათ, მაგრამ, რეალურად, საპირისპირო შედეგები დგება ხოლმე. ნაცმოძრაობას რატომ ჰგონია, რომ რიგგარეშე არჩევნები თუ დაინიშნება, ხელისუფლებაში მოვა?!

***– ადგილობრივ არჩევნებში საქართველოს მასშტაბით საკმაო მანდატები აიღეს, იმაზე მეტი, ვიდრე წინა არჩევნებზე. შეიძლება ვთქვათ, რომ მათი რიგგარეშე არჩევნებში მონაწილეობა წარმატებული გამოდგა?***

– კი, მაგრამ პოლიტიკური ამინდის შესაცვლელად საკმარისი არ არის. გამონაკლისია ერთი ქალაქი, სადაც მათი პარტიის წევრი აირჩიეს.

***– წალენჯიხაში საკრებულოს თავმჯდომარედ გახარიას პარტიის დეპუტატი აირჩიეს. მუდმივად საუბრობენ იმაზე, რომ გახარია და ნაცმოძრაობა ალიანსში არიან. თუ წარმოიდგენდით, რომ ოდესმე გახარიას „ოცნებაში“ მოღვაწეობას ასეთი გაგრძელება ექნებოდა?***

– იქიდან გამომდინარე, გახარია „ქართულ ოცნებაში“ ყოფნის დროს როგორც პოზიციონირებდა, ამას ვერ წარმოვიდგენდი. ახლა ნაცმოძრაობა და გახარიას პარტია ერთმანეთში თანამდებობების გადანაწილების პროცესში არიან. ამას საზოგადოების ინტერესებით ხსნიან. კონკრეტულ განმარტებებს, ალბათ, თვითონ გააკეთებენ. დღეს თუ ხვალ საზოგადოება ამ ყველაფერს ჯანსაღად შეაფასებს.

არც მიკვირს, რომ კონკრეტულად წალენჯიხის შემთხვევაში მათ ეს ნაბიჯი გადადგეს.

***– გახარია-ნაციონალების ალიანსის გამო „ოცნებაში“ გული გწყდებათ?***

– როგორც „ქართული ოცნების“ ერთ-ერთ დამფუძნებელს, რა თქმა უნდა, არ მომწონს, რომ ასეთი შედეგი დადგა თუნდაც წალენჯიხაში და სხვაგან, მაგრამ ეს მოცემულობაა და ამას ვერ შევცვლით. ხელოვნურად ხომ არ ჩავერევით.

***– რატომ არ შედგა გახარიასა და „ოცნების“ ალიანსი? ეს ვარიანტი ხომ უფრო იყო მოსალოდნელი, რადგან გახარია „ოცნების“ წიაღიდან იყო გასული? გახარიამ და „ოცნებამ“ წინმსწრებად ხომ არ მოიჭრეს ერთმანეთთან***



***მისასვლელი გზები?***

– არ ვიცი. ილუზორულ თემებზე ლაპარაკი არ მიყვარს. საქმის კურსში არ ვარ და არ ვიცი, წალენჯიხაში რატომ დათმეს და რატომ დადგნენ ნაცმოძრაობა და გახარია ერთად, რატომ მიიღეს ასეთი გადაწყვეტილება. ეს ყველაფერი ძალიან მოკლე დროში გამოჩნდება.

გახარია დეკლარირებულად ამბობს, რომ „ქართულ ოცნებასთან“ არ ითანამშრომლებს, მაგრამ ისეთი პოზიცია უჭირავს, რომ არც ნაცმოძრაობასთან ითანამშრომლებს. ალბათ, მან ისეთი გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც ამ მოცემულობაში მისთვის რელევანტური იყო.

***– სააკაშვილსა და ნაცმოძრაობას რომ დავუბრუნდეთ, ნაცების გააქტიურებას თუ ელოდებით, ან მოვლენების რადიკალიზაციას თუ გამორიცხავთ?***

– რა თქმა უნდა, ნაცების გააქტიურებას ველოდები. მათ საკმაო რესურსი აქვთ. თავს ნუ მოვიტყუებთ. მხარდამჭერები ჰყავთ. იმ მხარდამჭერების რაოდენობა, შეიძლება, გამარჯვებისთვის საკმარისი არ არის, მაგრამ, როცა დათბება, რეგიონებიდან ადამიანების მობილიზება, მათი დედაქალაქში ტრანსპორტირება თუ მოხდება, არ არის გამორიცხული, მოვლენების დაძაბვას შეეცადონ. ამას, დიახაც, ველოდები. მათ ვითარების დაძაბვისა და არეულობის განზრახვა ცალსახად აქვთ.

# „რუსებმა ამერიკელებს კულუარებში კელი დეგნანის გაწვევა მოსთხოვეს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ზე არაფერს ამბობენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ახლანდელი სისტემა მთავრდება. მიმდინარე წელი საქართველოსთვის ყველაზე სერიოზული ძვრების წელი იქნება ბოლო 30 წლის განმავლობაში. სურკოვის მიერ შექმნილ და კურირებულ პოლიტიკურ სისტემას ყავლი გაუვიდა.

***– ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე რას იტყვით? რუსეთს აწყობს ვადამდელი არჩევნები საქართველოში?***

– რუსეთს შეიძლება ეს დასჭირდეს მაშინ, თუ ამერიკელები დაიწყებენ პოლიტიკური სივრცის გასუფთავებას, როგორც უკრაინაში. უცნაური არ არის, რომ ვადამდელ არჩევნებს ერთნაირად მოითხოვს პრორუსული ბანაკიც და ნაციონალური მოძრაობაც?! როცა მოსკოვი ამას დაინახავს, შეიძლება მოუნდეს, დაასწროს ამერიკელებს და თავისი აგენტურა გამოიყვანოს არჩევნების მოთხოვნით. ამერიკის ელჩის მანდატი ფართოა. ეს არის აშშ-ის ხელისუფლებისგან მინიჭებული მანდატი. ელჩს აქვს ბევრი უფლებამოსილება, გარდა იმისა, რომ არ ერევა არჩევნების შედეგებში და არ მონაწილეობს პარტიების ჩამოყალიბებაში. თუ რუსებმა ნახეს, რომ ელჩის მანდატი კიდევ უფრო გაფართოვდა, დაფაცურდებიან და მოინდომებენ რიგგარეშე არჩევნებს. რუსებს ეგონათ, რომ ელჩისთვის მანდატის გაფართოება მოხდებოდა 2021 წელს, ადგილობრივი არჩევნების წინ. ამის ძალიან ეშინოდათ. რუსეთს მარცხი არ ასცდება. ქართულ პოლიტიკურ სპექტრს ტყუილად აქვს რუსეთის გამარჯვების იმედი. დავუშვათ, კრემლმა მიაღწია წარმატებას. რუსული გეგმით, მაშინ ყველა ქართულმა ფსევდოდასავლურმა ძალამ ნიღაბი უნდა ჩამოიხსნას და თავისი ნამდვილი სახე აჩვენოს ხალხს. რუსეთის მარცხი გარდაუვალია. ამას მოჰყვება რუსეთის კონტროლის დაკარგვა საქართველოს ეკონომიკაზე. პოლიტიკური ველი იცვლება. სააკაშვილიც ტყუილუბრალოდ არ ზის ციხეში. ასე რომ, დამაინტრიგებელი, სერიოზული ცვლილებები გველის. ისინი ჩვენგან დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს.

# „დავით კრავეიშვილი ხანჯლითაა მოკლული ლ.ი.-ს მიერ“

## პროკურორ ვეფხვაძის განცხადება

15 წლის დავით კრავეიშვილის მკვლელობის საქმის პროკურორ ლევან ვეფხვაძის განცხადებით, მკვლელობის იარაღი ბრალდებულ ლ.ი.-ს ჰქონდა და არა – თავად გარდაცვლილს.

როგორც ვეფხვაძე აცხადებს, კანონთან კონფლიქტში მყოფმა არასრულწლოვანმა თან ნაქონი მკვლელობის იარაღი პირველივე შესაძლებლობისას გამოიყენა.

– სასამართლო პროცესზე დაიკითხა გარდაცვლილის დედა, რომელმაც დაადასტურა, თუ საიდან, ვისგან შეიტყო მისი შვილის მკვლელობა და მან მოითხოვა სასამართლოს მხრიდან მტკიცებულებების სათანადოდ შეფასება და ორივე ბრალდებულის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი, ვინაიდან მისი შვილი მოკლულია. რაც შეეხება სასჯელს, ამ ნაწილში ის თავის პოზიციას დააფიქსირებს, როცა სასამართლო, დარწმუნებული ვარ, ორივე ბრალდებულის მიმართ გამამტყუნებელ განაჩენს გამოიტანს და სასჯელის დანიშვნის სხდომა დაინიშნება, – განაცხადა ვეფხვაძემ.

მისივე განმარტებით, საქმეში არაერთი პირდაპირი მტკიცებულება არსებობს, რომელიც ბრალდებულების მხრიდან დანაშაულის ჩადენას ადასტურებს.

– მინიმუმ, 10 პირდაპირი მტკიცებულებაა, რომელიც ადასტურებს, რომ არასრულწლოვანმა მეორე არასრულწლოვანი მოკლა განზრახ წინასწარი შეცნობით, ასევე, მეორე არასრულწლოვანმა მომხდარი სამართალდამცავ ორგანოებს არ შეატყობინა. შესაბამისად, მოსაზრება იმაზე, რომ ადგილი ჰქონდა აუცილებელ მოგერიებას, მსგავსი ფაქტი არ ყოფილა და ეს სამედიცინო დასკვნით დადასტურდა, რომლის მიხედვითაც, მკვლელობაში ბრალდებულს არავითარი დაზიანება არ აქვს. შესაბამისად, ბრალდების მხარე გამამტყუნებელ განაჩენს ელოდება.

რაც შეეხება დანაშაულის საგანს, დიახ, ის ბრალდებულმა მიიტანა და მას ჰქონდა, მან პირველივე შესაძლებლობისას გამოიყენა და მოკლა 15 წლის არასრულწლოვანი. ყველა საგამოძიებო მოქმედება ჩატარდა, თუმცა, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ გამოძიებას მხოლოდ 40 დღე ჰქონდა, ამიტომ საქმე გამოიყო და აქტიურად გრძელდება საგამოძიებო მოქმედება, მათ შორის, დანაშაულის შეუტყობინებლობის, დაფარვისა და ძალადობის ფაქტზე. ყველა პირი, ვისაც ამ დანაშაულში რაიმე ფორმით ბრალი მიუძღვის, სათანადო პასუხისგებაში მიეცემა, – განაცხადა ვეფხვაძემ.

არსებული ინფორმაციით, მკვლელობის იარაღი ხანჯალი იყო.

ლ.ი.-ის ადვოკატ ოთარ ხურციძის განცხადებით, მკვლელობის დღეს მოზარდების შეხვედრის ორგანიზება სხვა ჯგუფმა მოახდინა, რომლის წევრებიც თავისუფლებაში იმყოფებიან.

ადვოკატის თქმით, დაცვის მხარე ბრალის კვალიფიკაციას არ ეთანხმება, თუმცა, არ აკონკრეტებს, რა მუხლით უნდა წარიმართოს საქმე.

– კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი დუმილის უფლებას იყენებს, წარდგენილ ბრალდებას არ ვეთანხმებით, დანარჩენი, სასამართლოზე იქნება გამოკვლეული. რაც შეეხება დედას, ის ფაქტის შემსწრე არ არის, მისი სასამართლოში გამოსვლა ჩვენთვისაც ემოციური და მძიმე იყო, თუმცა, მან ფაქტებთან დაკავშირებით ვერ ისაუბრა.

კონფლიქტის შესახებ დედაც და ბრალდებაც ვერ უარყოფს, რომ ორგანიზება სხვა ჯგუფმა მოახდინა, რომლებიც თავისუფლებაში არიან, მათ დაიბარეს ორი პიროვნება, დაახლოებით 20-მდე ადამიანი იყო მეორე მხრიდან კონფლიქტში ჩართული.

წარდგენილი ბრალი ნამდვილად აბსურდულია და არ შეიძლება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით განიხილებოდეს. დანარჩენი უკვე დაცვის მხარის სტრატეგიაა, ვერ ვისაუბრებ, – განაცხადა ხურციძემ.



4 დეკემბერს თბილისში, სანზონაში, 15 წლის მოზარდი, დავით კრავეიშვილი მოკლეს. მას ცივი იარაღით ჭრილობები ჰქონდა მიყენებული.

სამართალდამცავებმა მკვლელობის ბრალდებით არასრულწლოვანი ლ.ი. დააკავეს.

ამავე საქმეზე დაკავებულია კიდევ ერთი პირი, პ.ვ., რომელსაც დანაშაულის შეუტყობინებლობას ედავებიან.

# პროკურატურამ სააკაშვილი დაზარალებულად არ ცნო

პროკურატურამ მიხეილ სააკაშვილის დაზარალებულად ცნობა „დაუსაბუთებლობის გამო“ არ დააკმაყოფილა, ამავდროულად, ადვოკატებს სისხლის სამართლის საქმის გაცნობის შესაძლებლობა მისცა.

ამის შესახებ პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი.

„2021 წლის 9 ნოემბერს, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტმა გამოძიება დაიწყო №18 სამკურნალო პენიტენციურ დაწესებულებაში, ასევე, გორის სამხედრო ჰოსპიტალში პატიმარ მიხეილ სააკაშვილის მიმართ შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე. კერძოდ, №18 სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანისას მის მიმართ შესაძლო ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების, მიზანმიმართული ვერბალური აგრესიის და მისი სამხედრო ჰოსპიტალიდან №12 დაწესებულებაში გადაყვანისას მაჯის საათის ჩამორთმევის ფაქტებზე.

მიმდინარე გამოძიების და ჩატარებული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების თაობაზე, სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახურმა ორჯერ – 2021 წლის 9 და 30 დეკემბერს მოახდინა მიხეილ სააკაშვილის ადვოკატების დეტალური ინფორმირება.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმე საჭიროებს კომპლექსურ და სრულყოფილ გამოძიებას და ამ მიზნით, 2021 წლის 29 ნოემბერს, საქმეზე პროკურორის მიერ გაცემულ იქნა მითითება საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების შესახებ, რომელთა ნაწილიც ამ დრომდე, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ შესრულებული არ არის.

საქმეზე დანიშნულია კომისიური სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა მიხეილ სააკაშვილის პატიმრობაში ყოფნის პერიოდში თუ რამდენად სათანადო სამედიცინო მომსახურება გაეწია მას; დანიშნულია ფსიქოლოგიური ექსპერტიზა; საქმეზე გამოთხოვილ აუდიო-ვიდეო ჩანაწერებზე დანიშნულია ჰაბიტოსკოპიური, ვიდეოსკოპიური და საინფორმაციო-ტექნოლოგიური ექსპერტიზები, ასევე – ტრასოლოგიური ექსპერტიზა, რომლის პასუხები გამოძიებას ამ ეტაპისთვის არ მიუღია და რომლის შედეგებიც ძალიან მნიშვნელოვანია გარემოებების დასადგენად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურორის წერილობითი მითითებების შესრულებამდე, მათ შორის შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნების მიღებამდე და გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი ცალკეული გარემოებების გადამოწმების მიზნით, შესაბამისი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარებამდე, პროკურატურა მოკლებულია შესაძლებლობას, საქმეზე მიიღოს რაიმე სახის შემაჯამებელი გადაწყვეტილება, მათ შორის პირი ცნოს დაზარალებულად. ხსენებულის გათვალისწინებით, დაცვის მხარის მოთხოვნა – მიხეილ სააკაშვილის დაზარალებულად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა დაუსაბუთებლობის გამო.

ამავდროულად, პროკურატურა გამოთქვამს მზაობას, დაცვის უფლების სრულყოფილად უზრუნველყოფისთვის მიხეილ სააკაშვილის უფლებადამცველ ადვოკატებს მიეცეთ სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის შესაძლებლობა“, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

# „მამუკა მიქაუტაძემ თბილისის ზღვაზე თავი მოიკლა“

## საქართველომ სტრასბურში სასამართლო წააგო



ევროპულმა სასამართლომ პოლიციელების მიერ სავარაუდო ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობის გამო თვითმკვლელობამდე მიყვანის საქმეზე დარღვევა დაადგინა.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მამუკა მიქაუტაძის საქმეზე გამოძიება არ იყო საფუძვლიანად ნაწარმოები, რამაც ძირი გამოუთხარა მის ეფექტიანობას.

2022 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილებით, საქმეზე ეძგვერაძე საქართველოს წინააღმდეგ ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) პროცედურული ნაწილის დარღვევა დაადგინა და სახელმწიფოს მომჩივნის სასარგებლოდ 3.000 ევროს გადახდა დააკისრა.

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ევროპულ სასამართლოში აწარმოებდა მამუკა მიქაუტაძის საქმეს, რომელმაც შსს-ში გამოკითხვიდან მეორე დღეს თბილისის ზღვაზე თავი მოიკლა. ნარკოტიკულ დანაშაულთან მიმართებით გამოძიების ფარგლებში მამუკა მიქაუტაძე 2013 წლის 5 ივლისს გამოკითხეს, როდესაც მის მიმართ, სავარაუდოდ, გამოყენებულ იქნა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა. იგი გამოიკითხა როგორც მოწმე, მისი მეგობრის მიერ კანაფის სავარაუდო ფლობის ფაქტზე. მიქაუტაძემ 2013 წლის 6 ივლისს თავი მოიკლა. მიქაუტაძე თვითმკვლელობამდე აცხადებდა, რომ დაკითხვის დროს მის მიმართ პოლიციელების მიერ გამოყენებულ იქნა ფიზიკური და ფსიქოლოგიურ ძალადობა საკუთარი მეგობრის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის იძულების მიზნით.

წინამდებარე საქმეში საია დავობდა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) პროცედურული ნაწილის დარღვევაზე. კერძოდ, საია მიიჩნევდა, რომ საქმეზე მიმდინარე გამოძიება არ იყო ეფექტიანი, მათ შორის, მნიშვნელოვან დარღვევას წარმოადგენდა გამოძიების, თუნდაც შეზღუდული ვადით, შსს-ს გენერალური ინსპექციის მიერ წარმოება, ვინაიდან, ფაქტია, რომ ამ საქმის გარემოებების ირგვლივ ყველაზე მეტი შეკითხვა სწორედ შს სამინისტროს თანამშრომელთა მიმართ არსებობდა, რაც წარმოშობდა გონივრულ ეჭვს, რომ მიქაუტაძე თვითმკვლელობამდე მათი სავარაუდო დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად მივიდა. შესაბამისად, შსს-ს მიერ გამოძიების წარმოება იმთავითვე ეჭვქვეშ აყენებდა გამოძიების დამოუკიდებლობასა და ეფექტიანობას. 2013 წლის სექტემბერში საქმე საქართველოს მთავარ პროკურატურას გადაეცა.

სასამართლომ გამოძიება მთლიანობაში შეაფასა და ყურადღება გაამახვილა რა ფაქტზე, რომ 2016 წელს პროკურატურის მიერ გამოძიება დანაშაულის არ არსებობის გამო დაიხურა, მიუთითა, რომ გამოძიებამ უპასუხოდ დატოვა საქმესთან დაკავშირებით გადამწყვეტი კითხვები. კერძოდ, გამოკითხვის დროს მართლაც გაყვანილი იქნა თუ არა მიქაუტაძე სხვა ოთახში და თუ კი, რა მოხდა იქ. ასევე, ყველაზე ნიშანდობლივი საგამოძიებო ხარვეზი სასამართლომ დაინახა ფაქტში, რომ გამოძიებამ არანაირი ჰიპოთეზა/განმარტება არ გააკეთა იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ შეიძლებოდა პოლიციასთან კონტაქტის შემდეგ ადამიანს, რომელსაც არანაირი სუიციდური განზრახვები, ფსიქოლოგიური ან სხვა ტიპის პრობლემები არ ჰქონდა, ჩაედინა თვითმკვლელობა.

საია გააგრძელებს წინამდებარე საქმის აღსრულების მონიტორინგს როგორც საქართველოს პარლამენტის, ისე მინისტრთა კომიტეტის წინაშე“, – ნათქვამია საიას განცხადებაში.

მამუკა მიქაუტაძე, რომელიც 2013 5 ივლისს პოლიციის განყოფილებაში დაკითხეს, 6 ივლისს თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე გარდაცვლილი იპოვეს.

ოჯახის წევრების პირველი ვერსიით, მან თავი მოიკლა, რადგან სამმართველოში ზეწოლის შედეგად მეგობრის წინააღმდეგ ჩვენება მიაცემინეს.

# ცომაია, ნარიმანიძე და მამა-შვილი წოწორიები გირაოთი გაათავისუფლეს

მიხეილ სააკაშვილის საქართველოში შემოსვლის საქმეზე ბრალდებული 4 პირი – გიორგი ნარიმანიძე, ელგუჯა ცომაია, ზურაბ და შალვა წოწორიები 5.000-5.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლდნენ.

აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ გიორგი კერატიშვილმა მიიღო. დაკავებულები სხდომათა დარბაზიდან გათავისუფლდნენ.

მათ გირაოს გადახდის ვადა 1 თვის ვადით განესაზღვრათ.

20 იანვრის სხდომაზე დაცვის მხარემ, ბრალდებულებთან შეთანხმებით, პროკურატურის მიერ წარდგენილი ყველა მტკიცებულება უდავოდ ცნო. აღნიშნულის შემდეგ, ადვოკატებმა დაკავებულების 5.000-5.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლების შუამდგომლობა დააყენეს.

როგორც დაცვის მხარე განმარტავდა, იქიდან გამომდინარე, რომ ბრალდებულებმა დანაშაული აღიარეს, ასევე პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ყველა მტკიცებულება უდაოდ ცნეს, დაკავებულებს ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა გირაოთი უნდა შესცვლოდა.

აღნიშნულ შუამდგომლობას ბრალდების მხარე დაეთანხმა და განმარტა, რომ ისინი დაკავებულების მიმართ ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების წინააღმდეგი არ არიან, ვინაიდან ისინი ბრალს აღიარებენ, ამასთან, მტკიცებულებებს უდავოდ ცნობენ.

– ბრალდების მხარის მტკიცებულებები დაცვის მხარემ გახადა უდავო. ბრალდებულებმა დანაშაული აღიარეს, – განაცხადა საქმის პროკურორმა ლევან ვეფხვაძემ.

მისივე თქმით, ბრალდების მხარეს მიაჩნია, რომ ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება უზრუნველყოფს მათ სათანადო ქცევას.

– ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ახალი გარემოება არის ის, რომ ბრალდების მხარის მტკიცებულებები დაცვის მხარემ გახადა უდავო. გარდა ამისა, ბრალდებულებმა აღიარეს ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება, აქედან გამომდინარე დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, ბრალდების მხარეც დაეთანხმა და მიაჩნია, რომ ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება უზრუნველყოფს მათ სათანადო ქცევას და მოსამართლემ შეუფარდა გირაო 5.000 ლარის ოდენობით.

მოწმეების, წერილობითი და ვიდეო მტკიცებულებების გამოკვლევა



აღარ მოხდება, ვინაიდან დაცვის მხარემ უდავო გახადა ყველა მტკიცებულება, – განაცხადა პროკურორმა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლის მეორე ნაწილით, 344-ე პრიმა მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 344-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

ბრალდებულებს გიორგი ნარიმანიძეს, ელგუჯა ცომაიას, შალვა და ზურაბ წოწორიებს მძიმე დანაშაულის დაფარვას ედავებიან. რაც შეეხება ელგუჯა ცომაიას, მას ასევე ბრალი წარდგენილი აქვს საზღვრის უკანონო გადმოკვეთაში დახმარებისთვის.

# ახალციხის საკრებულოს აპარატის უფროსმა თამარ აბულაძემ სასამართლო მოიგო

ახალციხის საკრებულოს აპარატის უფროსმა, რომელიც რამდენიმე თვის წინ სამსახურიდან გაათავისუფლეს, სამართლებრივი დავა მოიგო.

ახალციხის სასამართლომ მუნიციპალურ საკრებულოს თამარ აბულაძის თანამდებობაზე აღდგენა და განაცდურის სრულად ანაზღაურება დაავალა.

განაცდური დაითვლება 2021 წლის 25 აგვისტოდან, როდესაც ის თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

თამარ აბულაძის ინტერესებს სასამართლოში სამართლიანი არჩევნები იცავდა. თამარ აბულაძე გახარიას პარტია „საქართველოსთვის“ მხარდამჭერი იყო და მის დაცვაში ამ პარტიის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს.

სასამართლომ ორგანიზაციის სარჩელი დააკმაყოფილა, სამსახურიდან გათავისუფლების ცნობა ბათილად ცნო, თუმცა პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის საკითხი არ დაადგინა.

# ხანძარი რუსთავში

20 იანვარს რუსთავში, ჭყონდიდელის დასახლებაში, ხანძარი იყო.

შემთხვევის დროს არავინ დაშავებულა.

როგორც თვითმხილველებმა განაცხადეს, ცეცხლი პირველ სართულზე ერთ-ერთ ბინაში გაჩნდა, თუმცა ხანძრის დროს იქ არავინ იმყოფებოდა.

მათივე ინფორმაციით, რამდენიმე ადამიანი იყო მეორე სართულზე არსებულ ერთ-ერთ სახლში და შენობიდან მათი უვნებლად გამოყვანა მეხანძრე-მაშველებმა შეძლეს.



ადგილზე მობილიზებული იყვნენ სახანძრო-სამაშველო სამსახურის 3 ეკიპაჟი, ასევე სასწრაფო დახმარებისა და კრიმინალური პოლიციის ეკიპაჟები.

# რუსთავში 30 ჭის სახურავი მოიპარეს

რუსთავში 30-მდე ჭის სახურავი მოიპარეს.

ქურდობის ფაქტები ძირითადად ძველ რუსთავში ფიქსირდება.

ასევე მოპარულია სარდაფების საჰაეროების რკინის გისოსები.

კანონდამრღვევები ჭის სახურავებს ჯართის მიმღებ პუნქტებში აბარებენ, სადაც შესაბამის გასამრჯელოს იღებენ.

მომხდარზე გამოძიება უკვე დაწყებულია.

# ბრიტანეთი ნიღბებისა და კოვიდსაშვების ტარების ვალდებულებას აუქმებს



დიდი ბრიტანეთი კოვიდრეგულაციებს ამსუბუქებს.

ამის შესახებ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა გამოაცხადა.

აღნიშნული მოიცავს უმეტეს სივრცეში ნიღბების ტარების მოთხოვნის გაუქმებას, 27 იანვრიდან კოვიდისსაშვის წარდგენის ვალდებულებისა და დისტანციური მუშაობის რეკომენდაციის გაუქმებას.

გეგმის მიხედვით, ადამიანებს ჯერ კიდევ დასჭირდებათ თვითიზოლაცია ინფიცირების შემთხვევაში, მაგრამ პრემიერ-მინისტრმა და ჯანდაცვის მინისტრმა აღნიშნეს, რომ ეს სამუდამოდ არ გაგრძელდება.

სკოლის მოსწავლეებს 20 იანვრიდან აღარ სჭირდებათ ნიღბების ტარება საკლასო ოთახებში, ხოლო საჯარო სივრცეში მათი გამოყენება 27 იანვრიდან სავალდებულო აღარ იქნება.

პრესკონფერენციაზე ჯანდაცვის მინისტრმა თქვა, რომ ომიკრონ ვარიანტი უკან იხევს, რაც ნიშნავს გაერთიანებული სამეფოს ცხოვრების ახალ თავს კოვიდთან ერთად.

პრემიერი ასევე აცხადებს, რომ მოგზაურობასთან დაკავშირებული რეგულაციები განახლდება, რის შესახებაც დეტალები მოგვიანებით გახდება ცნობილი.

დიდ ბრიტანეთში ოთხშაბათს 108.069 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა. 359 ადამიანი გარდაიცვალა.

# ენტონი ბლინკენი ბერლინში ჩავიდა



20 იანვარს აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი კიევიდან ბერლინში ჩავიდა.

ვიზიტის ფარგლებში ბლინკენი მოლაპარაკებებს გამართავს გერმანელ, ფრანგ და ბრიტანელ კოლეგებთან.

21 იანვარს კი აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჟენევაში გაემგზავრება და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვს შეხვდება.

უკრაინაში ვიზიტის დროს ენტონი ბლინკენი პრეზიდენტ ვლადიმერ ზელენსკისა და საგარეო საქმეთა მინისტრ დმიტრო კულებას შეხვდა.

უკრაინელ კოლეგასთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ შეერთებული შტატები და ევროპა მოსკოვს დიდ საფასურს დაუწესებენ, თუ ის უარს იტყვის დიპლომატიურ გზაზე და უკრაინის წინააღმდეგ აგრესიის განხორციელებას აირჩევს.

# მოლდოვის ენერგოსექტორში, შესაძლოა, საგანგებო რეჟიმი გამოაცხადონ




მოლდოვამ ნატოში შესვლაზე უარი განაცხადა. პრეზიდენტმა მაია სანდუმ თავის გამოსვლაში აღნიშნა:

– ნატოში ჩვენი გაწევრიანება გამორიცხულია! მოლდოვის ნეიტრალური სტატუსი კონსტიტუციაშია დაფიქსირებული!

ამან მოლდოვას ვერ უშველა. გაზპრომმა მაია სანდუს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ 20 იანვრიდან, შესაძლოა, მოლდოვას გაზი გაუთიშონ. მიზეზი ბანალურია: ვალი.

– იძულებული ვართ, ჩვენს ენერგოსექტორში საგანგებო მდგომარეობა გამოვაცხადოთ, – თქვა სანდუმ.

# ლიბერიაში ეკლესიაში ჭყლეტას 29 ადამიანი შეეწირა



ლიბერიის დედაქალაქ მონროვიაში ეკლესიაში მომხდარი ჭყლეტის შედეგად 29 ადამიანი დაიღუპა.

შემთხვევა დედაქალაქის გარეუბანში, ნიუ კრუ თაუნში მოხდა.

ჯერჯერობით უცნობია, რა გახდა ჭყლეტის მიზეზი.

არ არის გამორიცხული, მსხვერპლის რაოდენობა გაიზარდოს, რადგან რამდენიმე დაშავებული კრიტიკულ მდგომარეობაშია.

ინციდენტი 19 იანვარს, საღამოს ან 20 იანვარს, დილით მოხდა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

**თამარ ქიოსაძეს!**

**თაკო, ჩვენო თბილო და ტკბილო, გონიერო და ჭკვიანო გოგო, მშობლებისა და ოჯახის იმედო და სიამაყევ, გილოცავთ ამქვეყნად შენი მოვლინების 10 წლის იუბილეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, ლაღ და ბედნიერ ბავშვობას, წარმატებებს სწავლაში და სახელოვან ქართველ ქალობას, ულევ სიხარულსა და სიყვარულს შენს ძამიკო ნიკოლოზთან ერთად. უფალი იყოს თქვენი და თქვენი მშობლების მფარველი. მადლობა მათ კარგი შვილების გაზრდისთვის.**

**უსაზღვრო სიყვარულით, ბებიები:**
**თამილა, მარიკა, ნინო**

# მამაკაცმა ლატარიაში ყველა რიცხვი გამოიცნო და მოგების გარეშე დარჩა



„ყველაზე უიღბლო ბრიტანელმა“ ლატარიის გათამაშებაში ყველა რიცხვი გამოიცნო, მაგრამ, იმის გამო, რომ ბილეთები აერია, უზარმაზარი მოგების გარეშე დარჩა.

იანვრის დასაწყისში ლონდონელმა 23 წლის როსი კარმინმა ევრომილიონის ლატარიის ბილეთი შეიძინა. მეორე დღეს გამართული გათამაშების შემდეგ მან მომგებიანი რიცხვები შეამოწმა და აღმოაჩინა, რომ ისინი სრულად ემთხვეოდა მის მიერ ბილეთში მითითებულ კომბინაციას.

მხოლოდ მოგვიანებით მიაქცია ლონდონელმა ყურადღება იმ ფაქტს, რომ მის მიერ შეძენილი ბილეთი ამ გათამაშებისთვის არ იყო განკუთვნილი და მხოლოდ მომდევნო გათამაშებაში მიიღებდა მონაწილეობას. ამის გამო მან ვერ მიიღო მოგება, რომელიც 14 მილიონ ფუნტ სტერლინგს შეადგენდა.

კარმინის თქმით, ახლა მას თავიდან არ ამოსდის იმ თანხაზე ფიქრი, რომელიც კინაღამ მოიგო.

– შემეძლო დედისთვის ახალი სახლი მეყიდა, შემეძლო მეყიდა ფერარი, – ამბობს სინანულით ლონდონელი, – ძნელია ამაზე არ იფიქრო. მთელი ცხოვრება უზრუნველყოფილი მექნებოდა.

# დავით უბილავა: „საბურთალოს წარმატებებში ჩემი წვლილის შეტანა მინდა“

**დავით უბილავა 2014 წლიდან იცავდა თბილისის ლოკომოტივის ღირსებას და გუნდის კაპიტანიც იყო. 27 წლის ფეხბურთელი ლოკოს „დაშლის“ შემდეგ საბურთალოს შეუერთდა.**




***– ლოკომოტივში დიდი დრო გაატარე. რთული არ იყო სხვა გუნდში გადასვლა და შეგუება?***

– საბურთალოს ვიცნობდი. ასე ახლოს არა, მაგრამ მეგობრები მყავს და უცხო გარემოში არ მოვხვედრილვარ. ძალიან თბილად დამხვდნენ, რაც სასიამოვნოა. რაც მთავარია, კარგად ვიცნობ საბურთალოს მთავარ მწვრთნელ ლევან კორღალიძეს, რომელთან ერთადაც მიმუშავია. მეგობრული და შეკრული კლუბია, რაც წინსვლისა და წარმატებებისთვის აუცილებელია.

***– ლოკომოტივის კაპიტანი იყავი, ალბათ სხვა შეთავაზებებიც გექნებოდა. რა იყო პირველი, რაზეც არჩევანი საბურთალოზე გააკეთე?***

– მთავარი მწვრთნელის ფაქტორი. ვიცი მისი ხედვა და მიდგომა ფეხბურთისადმი. ასევე კლუბი ვითარდება, წინ მიიწევს, მაღალი მიზნები და გეგმები აქვს. მინდა, ამ წინსვლაში ჩემი წვლილიც შევიტანო.

***– კაპიტნები კლუბში გარკვეული დამსახურებების შემდეგ ხდებიან. ალბათ კიდევ უფრო რთული იქნებოდა ლოკოსთან განშორება.***

– კარიერის დიდი ნაწილი სწორედ ლოკომოტივში გავატარე, იქ გავიზარდე და ჩამოვყალიბდი ფეხბურთელად. საწყენია, რომ კლუბის ძირითადმა ბირთვმა დატოვა გუნდი, მაგრამ უკეთესის იმედი ყოველთვის მაქვს. მინდა, ლოკოს მომავალში წარმატებები და წინსვლა ვუსურვო.

***– საკმაოდ გამოცდილი ფეხბურთელი ხართ – კარიერაში 226 ოფიციალური მატჩი ჩაატარე. როგორ გაიხსენებთ განვლილ გზას?***

– თამაშების საკმაო გამოცდილება დამიგროვდა, 226 მატჩი მართლაც არაა პატარა ციფრი. იყო კარგი დროც, რთულიც, იყო ტრავმებიც, ასევე – სიხარულიც. არასდროს დამავიწყდება 2 წლის წინ ლოკომოტივთან ერთად ევროტურნირებზე გამარჯვებები, ძალიან დიდი ემოციები და სიხარული იყო, ყველანი ბედნიერები ვიყავით.

ახლა ახალი გამოწვევები იწყება ჩემს ცხოვრებაში. მინდა, ბევრი კარგი მოგონება უკვე საბურთალოსთან მაკავშირებდეს. მაქსიმალურად დავიხარჯები და წინსვლისთვის ყველაფერს გავიღებ.

***– მიუხედავად იმისა, რომ ამპლუით მცველი ხარ, კარიერაში რამდენიმე გოლი გაქვს გატანილი, ერთ-ერთი – ახალი გუნდის კარში. თუ გახსოვს ის მატჩი?***

– 2015 წელი იყო, ლოკომოტივის ცენტრალურ სტადიონზე ვითამაშეთ. საბურთალოს კარს ბექა ქურდაძე იცავდა. კარიდან ცოტათი წინ იყო გამოსული, ბურთი მივიღე და კარში დავარტყი. იმ შეხვედრაში გავხსენი ანგარიში. დაძაბული და სანახაობრივი მატჩი გამოდგა, საბოლოოდ შეხვედრა ლოკომოტივის გამარჯვებით, 3:2 დასრულდა.

***– წლეულს საბურთალოსგან რა მოლოდინი გაქვს?***

– წინა წელზე უკეთესი შედეგი უნდა იყოს. ამის შესაძლებლობა გუნდს ნამდვილად გააჩნია. კარგი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული კლუბია, დიდი კონკურენციაა და მჯერა, წინსვლა იქნება. მინდა, საბურთალოსთან ერთად წარმატებებს მივაღწიო როგორც საქართველოში, ასევე – ევროტურნირებზე. კონფერენს ლიგაზე შეგვიძლია რამდენიმე ეტაპის გადალახვა და შორს წასვლა. ვნახოთ, ყველაფერს დრო გვიჩვენებს. ასევე, კარსაა მომდგარი სუპერთასის მატჩი. შეგვიძლია, რომ მოვიგოთ ხსენებული გათამაშება. გამოვალთ მინდორზე და ბოლომდე ვიბრძოლებთ. გვინდა, სეზონი კარგი განწყობითა და გამარჯვებით დავიწყოთ.

***– დამატებითი მოტივაცია გექნება, რადგან პირველი ქართული ტიტულის მოლოდინში ხარ.***

– ძალიან შემართებით ვარ და მოტივირებული! მსურს, ეს დღე მალე მოვიდეს. უნდა მოვიგოთ, სხვა შედეგი არც განიხილება!

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# მეტისმეტად მაღალი ხმის გამო სამსახურიდან განთავისუფლებული მასწავლებელი კომპენსაციას მიიღებს

დიდ ბრიტანეთში მასწავლებელმა, რომელიც სამსახურიდან იმის გამო გაანთავისუფლეს, რომ მეტისმეტად ხმამაღლა ლაპარაკობდა, კომპენსაციის სახით 100 ათასი ფუნტი სტერლინგის მიღებას მიაღწია.

60 წლის ანეტ პლაუტმა განაცხადა, რომ 1990 წლიდან ექსეტერის უნივერსიტეტის ფიზიკის კათედრაზე მუშაობდა. იმ დროისთვის ის ერთადერთი ქალი თანამშრომელი იყო. პლაუტის თქმით, ის სამსახურიდან იმის გამო გაუშვეს, რომ მეტისმეტად მაღალი ხმა აქვს, თუმცა უნივერსიტეტის თანამშრომლები ამტკიცებენ, რომ ის სამსახურიდან ორ ასპირანტთან შეუფერებელი მოქცევის გამო გაანთავისუფლეს.




პლაუტი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა და დიდი ბრიტანეთის შრომის საკითხების სააპელაციო ტრიბუნალში შეიტანა საჩივარი. საქმის განხილვის დროს ქალმა განაცხადა, რომ მაღალი ხმა მის ებრაულ წარმომავლობას უკავშირდება და ამიტომ მისთვის რთულია, ამას რაიმე მოუხერხოს. მან ასევე განაცხადა, რომ ფიზიკის კათედრაზე მუშაობის რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ცდილობდნენ მის სამსახურიდან გაგდებას, მაგრამ, მიუხედავად კოლეგებისა და ხელმძღვანელობის აშკარა უპატივცემულო დამოკიდებულებისა, სამუშაოს შენარჩუნებას მაინც ახერხებდა.

სასამართლომ მოსარჩელეს მხარი დაიჭირა, მის მიმართ თანაგრძნობა გამოხატა და კომპენსაციის სახით 100 ათასი ფუნტი სტერლინგი დაუნიშნა. უნივერსიტეტი ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## განცხადებები

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე მისვლით. კეთდება მხოლოდ იტალიური და იაპონური მოსახსნელი კბილის პროთეზები. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

# ვალენსია და საბურთალო სამი წლით დამეგობრდნენ



საბურთალოსა და ვალენსიას შორის 3-წლიანი ხელშეკრულება გაფორმდა – მხარეებმა კონტრაქტს ხელი უკვე მოაწერეს.

პროექტი მრავალმხრივი იქნება. ვალენსიას ქართულ კლუბში საკუთარი წარმომადგენელი ეყოლება, რომელიც უშუალოდ უხელმძღვანელებს პროცესებს. ამავდროულად, კლუბებს შორის მოხდება გაცვლითი პროგრამა, ცოდნას გაიღრმავებენ მწვრთნელები, ნიჭიერი ბავშვები გაემგზავრებიან სტაჟირებაზე, ასაკობრივი გუნდები ითამაშებენ საერთაშორისო ტურნირებში, კლუბისა და აკადემიის ხელმძღვანელებს შორის იქნება მუდმივი კომუნიკაცია.

აი, რას წერს ვალენსიის ოფიციალური ვებგვერდი:

– ვალენსია აგრძელებს ინტენსიურ მუშაობას საერთაშორისო პროექტის განვითარებაზე და ამის დასტურია საქართველოს უმაღლესი ლიგის კლუბ საბურთალოსთან მიღწეული ახალი შეთანხმება. ეს არის ქვეყნის ერთ-ერთი წარმატებული კლუბი, რომელიც მომავალ სეზონში უეფას კონფერენს ლიგაში მოსახვედრად იბრძოლებს. ამ შეთანხმების მთავარი მიზანია ყველა საჭირო სტრუქტურის შემუშავება, რათა საბურთალოს საფეხბურთო კლუბის აკადემია მწვრთნელთა მომზადების გეგმის განხორციელებითა და აკადემიისთვის საკუთარი სათამაშო სახის მინიჭებით მაქსიმალურად პროფესიონალურ დონეზე ავიდეს. ასევე, ქართველ ფეხბურთელებს საუკეთესო რესურსებით უზრუნველვყოთ მათი ფეხბურთისა და პიროვნული განვითარებისთვის, ტალანტების მოზიდვა მთელი ქვეყნიდან და საბურთალოს პირველ გუნდში დაწინაურება კლუბის საკუთარ ახალგაზრდულ აკადემიაში გაზრდილი ფეხბურთელების გავლენის ქვეშ.

ამ შეთანხმებით ვალენსია აგრძელებს საერთაშორისო საზღვრების გაფართოებასა და ვალდებულებას, გაავრცელოს აკადემიის მუშაობის მეთოდოლოგია, ისევე, როგორც მისი საგანმანათლებლო პროექტი, გააძლიეროს კავშირები ადამიანებსა და კულტურებს შორის, ფეხბურთთან და სპორტის ღირებულებებთან.

**ტარიელ ხეჩიკაშვილი, საბურთალოს დამფუძნებელი:**

– საბურთალოსთვის ტრადიციად ჩამოყალიბდა ესპანურ კლუბებთან თანამშრომლობა. გარდა ამისა, კლუბში მუშაობდნენ ესპანელი მწვრთნელები, მენეჯერები და ფეხბურთელები.

რაც შეეხება ახალ თანამშრომლობას – ვალენსია დიდი ტრადიციების მქონე, ძალიან ძლიერი და წარმატებული კლუბია. გადამწყვეტი ფაქტორი მათი საქმისადმი მიდგომა და პროფესიონალიზმი აღმოჩნდა. თანამშრომლობა იქნება მრავალმხრივი – დიდი ყურადღება მიექცევა აკადემიას, შეიქმნება გაცვლითი პროგრამა, ცოდნას გაიღრმავებენ მწვრთნელები, სტაჟირებაზე გაემგზავრებიან ნიჭიერი ფეხბურთელები, იქნება მუდმივი კომუნიკაცია აკადემიისა და კლუბის ხელმძღვანელებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქტი 3– წლიანია, მჯერა, თანამშრომლობა უფრო ხანგრძლივი იქნება.

სასიამოვნოა, რომ საბურთალოსა და ვალენსიის ხედვები ერთმანეთს დაემთხვა. ვისარგებლებ შემთხვევით და ესპანური კლუბის ხელმძღვანელობას მადლობას გადავუხდი. ძალიან კარგი დახვედრა მოგვიწყვეს, ყველაფერი მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული. მჯერა, ჩვენი თანამშრომლობა ორივე კლუბისთვის ნაყოფიერი და წარმატებული იქნება.

**შონ ბაი, ვალენსიის გენერალური დირექტორი:**

– ვალენსია სისტემატურად საერთაშორისო პროექტების ძიებაშია. სასიამოვნოა, რომ თბილისის საბურთალოსთან მეგობრული და, რაც მთავარია, საქმიანი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი ხედვები ერთმანეთს დაემთხვა. გვჯერა, ორივე მხარისთვის ნაყოფიერი და წარმატებული პროექტი იქნება. ეს ჯერ მხოლოდ პირველი ნაბიჯებია. მომავალში ჩვენი ურთიერთობა მასშტაბური იქნება.

ვალენსია არის ის კლუბი და აკადემია, რომელიც სისტემატურად ნიჭიერი ბავშვების ძიებაშია. ვფიქრობ, ეს პროექტი ასევე ხელს შეუწყობს ქართულ-ესპანური კულტურის კიდევ უფრო დაახლოებასაც.

# ჯოკოვიჩი ისევ ჩივილს აპირებს

სპორტულ სამყაროში ბოლო დროს ყველაზე სკანდალური საქმე ნოვაკ ჯოკოვიჩის გამოდგა. როგორც ცნობილია, მსოფლიოს პირველი ჩოგანი ავსტრალიიდან დეპორტირებულ იქნა.

საქმე ის არის, რომ სერბ ჩოგბურთელს აუცრელობის გამო ავსტრალიის ღია პირველობაზე მონაწილეობის უფლება არ მისცეს და ქვეყნიდან გააძევეს.

ჯოკოვიჩი არ ნებდება და ბრძოლის გაგრძელებას ახლებურად გეგმავს. გავრცელებული ცნობებით, ნოლემ დანიური ბიოტექნოლოგიური კომპანიის აქციათა 80% შეიძინა. კომპანია კორონავირუსის საწინააღმდეგო პრეპარატის შექმნაზე მუშაობს.

მსოფლიოს პირველი ჩოგანი ავსტრალიის ხელისუფლებასაც ემუქრება და სასამართლოში ჩივილს აპირებს.

ავსტრალიურმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, სპორტსმენი ავსტრალიის ღია პირველობაზე სათამაშოდ არ დაუშვას. ამასთან, ეს მოხდა მეორე სასამართლო პროცესზე, თორემ პირველი ჯოკოვიჩმა მოიგო.

როგორც ბრიტანული მედია წერს, სერბი ვარსკვლავი ავსტრალიელებისგან 6 მილიონი დოლარის ანაზღაურებას ითხოვს: 2 მილიონი – პოტენციური საპრიზო თანხა ტურნირის მოგებისთვის, ხოლო 4.3 მილიონი – უკანონო დაკავებისა და უხეში მოპყრობისთვის.



# მანჩესტერი ინგლისის ნაკრების ფეხბურთელებს გუნდიდან უშვებს

მანჩესტერ იუნაიტედის მწვრთნელმა რალფ რანგნიკმა, რომელიც მომავალი წლიდან კლუბის მრჩეველი იქნება, კლუბის ხელმძღვანელებთან შეხვედრა გამართა. გერმანელმა სპეციალისტმა დაასახელა ის ფეხბურთელები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ ისეთი კლუბის დონეს, როგორიც იუნაიტედია.

მწვრთნელი განსაკუთრებით გუნდის დაცვის ხაზის დონითაა უკმაყოფილო.

**რალფ რანგნიკი:**

– ჰარი მაგუაირი, აარონ ვანბისაკა და ლუკ შოუ არ იმსახურებენ „წითელი ეშმაკების" მაისურის ტარებას. დაცვის ხაზში უფრო კვალიფიციური ფეხბურთელების მოწვევაა საჭირო.

არადა, სამივე მათგანი ინგლისის ნაკრების ფეხბურთელია და მთელ ქვეყანას მათი ეიმედება.

გუნდის თამაშით ასევე უკმაყოფილოა პორტუგალიელი კრიშტიანუ რონალდუ. 36 წლის თავდამსხმელმა უკვე დაასახელა პირობა, რომლითაც შეუძლია, მანჩესტერთან კონტრაქტი ვადაზე ადრე შეწყვიტოს.

პორტუგალიელი ფორვარდის აგენტი ცოტა ხნის წინ შეხვდა რიჩარდ არნოლდს, რომელიც მანჩესტერული კლუბის აღმასრულებელ დირექტორად მალე უნდა დამტკიცდეს.

აგენტის თქმით, კრიშტიანუ შეშფოთებულია გუნდის ამჟამინდელი მდგომარეობით და რონალდუ წასვლას გადაწყვეტს, თუ მანჩესტერელები მომავალი სეზონის ჩემპიონთა ლიგაზე ვერ მოხვდებიან.

მანჩესტერი პრემიერ ლიგის სატურნირო ცხრილში მე-7 ადგილზე იმყოფება და მე-4 ადგილს ანუ ჩემპიონთა ლიგის ზონას 5 ქულით ჩამორჩება.

# შედეგები

**19 იანვარი**

**ფეხბურთი**

### აფრიკის ერთა თასი

გვინეა ბისაუ-ნიგერია ..................... 0:2
ეგვიპტე-სუდანი ............................. 1:0

### ინგლისი. პრემიერლიგა

ლესტერი-ტოტენჰემი ..................... 2:3
ბრენტფორდი-მანჩესტერი ............. 1:3

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 22 | 18 | 2 | 2 | 54-13 | 56 |
| 2.ლივერპული | 21 | 13 | 6 | 2 | 55-18 | 45 |
| 3.ჩელსი | 23 | 12 | 8 | 3 | 46-18 | 44 |
| 4.ვესტ ჰემი | 22 | 11 | 4 | 7 | 41-30 | 37 |
| 5.ტოტენჰემი | 19 | 11 | 3 | 5 | 26-22 | 36 |
| 6.არსენალი | 20 | 11 | 2 | 7 | 33-25 | 35 |
| 7.მანჩესტერი | 21 | 10 | 5 | 6 | 35-30 | 35 |
| 8.ვულვზი | 20 | 9 | 4 | 7 | 17-15 | 31 |
| 9.ბრაიტონი | 21 | 6 | 11 | 4 | 22-22 | 29 |
| 10.ლესტერი | 19 | 7 | 4 | 8 | 33-36 | 25 |
| 11.კრ.პალასი | 21 | 5 | 9 | 7 | 30-31 | 24 |
| 12.საუთჰემპტონი | 21 | 5 | 9 | 7 | 25-33 | 24 |
| 13.ასტონ ვილა | 20 | 7 | 2 | 11 | 27-32 | 23 |
| 14.ბრენტფორდი | 22 | 6 | 5 | 11 | 25-36 | 23 |
| 15.ლიდსი | 20 | 5 | 7 | 8 | 24-39 | 22 |
| 16.ევერტონი | 19 | 5 | 4 | 10 | 24-34 | 19 |
| 17.უოტფორდი | 19 | 4 | 2 | 13 | 23-37 | 14 |
| 18.ნორვიჩი | 21 | 3 | 4 | 14 | 10-45 | 13 |
| 19.ნიუკასლი | 20 | 1 | 9 | 10 | 20-43 | 12 |
| 20.ბარნლი | 17 | 1 | 8 | 8 | 16-27 | 11 |

### ინგლისი. ჩემპიონლიგა

ჰალი-ბლექბერნი ............................. 2:0
რედინგი-ლუთონი ........................... 0:2

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

სელტა-ოსასუნა ................................ 2:0
ვალენსია-სევილია .......................... 1:1

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 21 | 15 | 4 | 2 | 45-18 | 49 |
| 2.სევილია | 21 | 13 | 6 | 2 | 32-14 | 45 |
| 3.ბეტისი | 21 | 11 | 4 | 6 | 37-24 | 37 |
| 4.სოსიედადი | 20 | 9 | 6 | 5 | 22-21 | 33 |
| 5.ატლეტიკო | 20 | 9 | 6 | 5 | 33-24 | 33 |
| 6.ბარსელონა | 20 | 8 | 8 | 4 | 31-23 | 32 |
| 7.რაიო | 20 | 9 | 4 | 7 | 27-21 | 31 |
| 8.ვილიარეალი | 21 | 7 | 8 | 6 | 33-23 | 29 |
| 9.ვალენსია | 21 | 7 | 8 | 6 | 33-33 | 29 |
| 10.ბილბაო | 21 | 6 | 10 | 5 | 20-17 | 28 |
| 11.ესპანიოლი | 21 | 7 | 6 | 8 | 25-26 | 27 |
| 12.სელტა | 21 | 7 | 5 | 9 | 24-23 | 26 |
| 13.ოსასუნა | 21 | 6 | 7 | 8 | 20-27 | 25 |
| 14.გრანადა | 20 | 5 | 9 | 6 | 24-27 | 24 |
| 15.ელჩე | 21 | 5 | 7 | 9 | 21-28 | 22 |
| 16.მალიორკა | 20 | 4 | 8 | 8 | 17-30 | 20 |
| 17.ხეტაფე | 20 | 4 | 6 | 10 | 13-21 | 18 |
| 18.ალავესი | 21 | 4 | 5 | 12 | 16-34 | 17 |
| 19.კადისი | 21 | 2 | 9 | 10 | 15-34 | 15 |
| 20.ლევანტე | 20 | 1 | 8 | 11 | 21-41 | 11 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ლუგო-ალმერია .............................. 2:1

### საფრანგეთი. ლიგა 1

კლერმონი-სტრასბური .................. 0:2
ლილი-ლორიანი .............................. 3:1
მონპელიე-ტრუა ............................. 0:1

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 21 | 15 | 5 | 1 | 42-18 | 50 |
| 2.ნიცა | 21 | 12 | 4 | 5 | 34-18 | 39 |
| 3.მარსელი | 20 | 10 | 7 | 3 | 28-16 | 37 |
| 4.სტრასბური | 21 | 10 | 5 | 6 | 41-25 | 35 |
| 5.რენი | 21 | 10 | 4 | 7 | 40-19 | 34 |
| 6.მონაკო | 21 | 9 | 6 | 6 | 33-23 | 33 |
| 7.ლანსი | 21 | 9 | 6 | 6 | 36-29 | 33 |
| 8.ლილი | 21 | 8 | 8 | 5 | 30-28 | 32 |
| 9.მონპელიე | 21 | 9 | 4 | 8 | 34-28 | 31 |
| 10.ნანტი | 21 | 8 | 5 | 8 | 26-25 | 29 |
| 11.ლიონი | 20 | 7 | 8 | 5 | 28-27 | 28 |
| 12.ანჟე | 20 | 6 | 8 | 6 | 26-27 | 26 |
| 13.ბრესტი | 21 | 6 | 7 | 8 | 26-33 | 25 |
| 14.რეიმსი | 21 | 5 | 9 | 7 | 22-23 | 24 |
| 15.ტრუა | 21 | 5 | 5 | 11 | 19-29 | 20 |
| 16.კლერმონი | 21 | 4 | 7 | 10 | 20-34 | 19 |
| 17.მეცი | 21 | 4 | 7 | 10 | 24-41 | 19 |
| 18.ბორდო | 21 | 3 | 8 | 10 | 30-50 | 17 |
| 19.ლორიანი | 21 | 3 | 8 | 10 | 16-34 | 17 |
| 20.სტ.ეტიენი | 20 | 2 | 6 | 12 | 18-42 | 12 |

### საფრანგეთი. ლიგა 2

ამიენი-აიაჩო ................................... 0:1
ტულუზა-ნანსი ................................ 4:0

### თურქეთი. სუპერლიგა

გიოზთეფე-სივასი ........................... 2:1
ქაისერი-ბაშაქშეჰირი ..................... 1:0
ტრაბზონი-გირესუნი ....................... 1:1
ფენერბახჩე-ალთაი ......................... 2:1

**ჩოგბურთი**

### ავსტრალიის ღია პირველობა

### კაცები

რუბლიოვი-ბერანსიკი ......... 6:4,6:2,6:0
შვარცმანი-ოკონელი ......... 6:7,4:6,4:6
გომბოსი-ჩილიჩი ........... 2:6,3:6,6:3,6:7
მოლჩანი-ანდუჰარი ..... 4:6,6:7,6:0,1:6
ტიაფო-ფრიცი .................... 4:6,3:6,6:7
ბაუტისტა აგუტი-კოლშრაიბერი 6:1,6:0,6:3
დავიდოვიჩ ფოკინა-ოჟე ალიასიმი 6:7,7:6,6:7,6:7
მაიხშაკი-დე მინორი ........... 4:6,4:6,2:6
ბაესი-ციციპასი ............. 6:7,7:6,3:6,4:6
დიმიტროვი-პერი ......... 4:6,4:6,7:6,6:7
მარი-დანიელი ...................... 4:6,4:6,4:6
კირიოსი-მედვედევი ..... 6:7,4:6,6:4,2:6
ჯონსონი-სინერი ................ 2:6,4:6,3:6

### ქალები

კონტევეიტი-ტაუსონი ............. 2:6,4:6
კონიუხი-კოლინზი ................... 4:6,3:6
კორნე-მუგურუზა ...................... 6:3,6:3
შვიატეკი-პეტერსონი ............... 6:2,6:2
ვონდროუშოვა-სამსონოვა ........ 6:2,7:5
ბატისტი-ინგლისი .............. 6:7,6:2,2:6
ვანი-სობოლენკო ................ 6:1,4:6,2:6
მერტენსი-ბეგუ ......................... 6:3,6:2
კირსტეა-კუცოვა ....................... 6:2,6:4
სტოსური-პავლუჩენკოვა .......... 2:6,2:6
ზიდანშეკი-უოტსონი ................ 7:6,6:4
ლინეტი-კასატკინა ................... 2:6,3:6
კანეპი-ბოუზკოვა ..................... 6:2,7:6
კოვინიჩი-რადუკანუ .......... 6:4,4:6,6:3
ჰალეპი-მაია ........................... 6:2,6:0

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*


## სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი" ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

**მადლიერ პაციენთა რიცხვი ათასობითაა:**

**ლია თეთრაშვილი:** მქონდა მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

**დათო ჭელიძე:** წლების განმავლობაში ვიტანჯებოდი ბუასილით. ყველას ვურჩევ, მიაკითხოს ლამარა თოდუას, ნამდვილად სასწაულს ახდენს მისი მალამო.

**ჟანა ამირანაშვილი:** ბავშვს საბავშო ბაღში გადაედო ტილები, შემდეგ მთელს ოჯახს გადაგვდო. ლამარა თოდუას მიერ დამზადებული ნაყენით ერთ პროცედურის შემდეგ სრულიად გავთავისუფლდით.

**ლილი კიზირია:** 83 წლის დედას წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იჟოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად".

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**



**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**


## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. მონასტრის მსახური; 2. ისრაელის პარლამენტი; 3. საღებავი ნივთიერება, რომელიც ფერს აძლევს ცოცხალი ორგანიზმის ქსოვილებს; 4. სამეგრელოსა და აფხაზეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 5. მზის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 8. ცოლის დედა; 9. „ბითლზის" ერთ-ერთი წევრი; 12. მკვეთრ კონტრასტებზე დამყარებული მხატვრული ხერხი ლიტერატურასა და სახვით ხელოვნებაში; 13. სამართლებრივი მდგომარეობა; 16. ხეობა, ბუნებრივი ნაკრძალი აჭარაში; 17. მზის სისტემის პლანეტა; 19. ესპანელი აზნაური; 20. ძნელად შესაგუებელი, უხასიათო ადამიანი.

**თარაზულად:** 6. საცხენოსნო შეჯიბრების ხელმძღვანელი; 7. ჩრდილო აფრიკაში მცხოვრები არაბების ძველი სახელწოდება; 8. უდაბნოს ცხელი ქარი; 10. კინოკრიტიკოსთა საერთაშორისო ორგანიზაციის კინოპრიზი; 11. დედათა მონასტერი ფარავნის ტბის მახლობლად; 14. გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვა ან გამოთქმა; 15. ფართოფარფლებიანი ესპანური ქუდი; 18. ცირკის არენა; 21. საჯარო კამათი ლიტერატურულ, მეცნიერულ საკითხზე; 22. მდინარე ოზურგეთში; 23. ცნობილი უელსელი რაგბის მსაჯი; 24. ქართველი ბალეტმეისტერი, ამერიკული ბალეტის ფუძემდებელი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჰამერი; 2. რალი; 3. არბიტრაჟი; 4. ანაშა; 5. ჟინვალი; 8. ვადუცი; 9. ბალახვანი; 12. გელათი; 14. თაბახი; 16. იჯარა.

**თარაზულად:** 1. ჰიპოკრატე; 6. კრიჟანგი; 7. მაყვალი; 9. ბრაილი; 10. იავა; 11. სუფრული; 13. დათვი; 15. ლენინი; 17. ჭიდაობა; 18. კაპელა; 19. ლიახვი; 20. დარიალი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბეიძინი; 2. პუშკაში; 3. მისტრალი; 4. გელათი; 5. ლონდონი; 8. ბიზნესი; 9. ვილაიეთი; 12. ორატორია; 13. შნიცელი; 16. კოალიცია; 17. მაესტრო; 19. ისინდი; 20. პუებლო.

**თარაზულად:** 6. ხევსურეთი; 7. სექტორი; 8. ბოტეგა; 10. ჟინვალი; 11. შოვი; 14. ყინწვისი; 15. ტალახაძე; 18. კოპოლა; 21. სალომეა; 22. გურჯი; 23. იამოტო; 24. კაბელტოვი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


21 იანვარი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი


აშშ დოლარი — 3.0840


ევრო — 3.5130


დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.1992


100 რუსული რუბლი — 4.0371

## ამინდის პროგნოზი 21 იანვრისათვის




## რობინიოს 9 წელი მიუსაჯეს



მილანისა და ბრაზილიის ნაკრების ყოფილ ფორვარდ რობინიოს ჯგუფურ გაუპატიურებაში ბრალდება საბოლოოდ დაუმტკიცდა და 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. დანაშაული 2013 წელს მილანის ერთ-ერთ ღამის კლუბში მოხდა.

რობინიო ამჟამად ბრაზილიაში იმყოფება და სულ მალე მის ექსტრადიციას ოფიციალურად მოითხოვენ, თუმცა, შესაძლოა, ბრაზილიამ უარი თქვას, ამიტომ ჯერჯერობით უცნობია, ჩაჯდება თუ არა რობინიო ციხეში.

## ანჩელოტის აზარის გაყიდვა სურს



მადრიდის რეალის მთავარ მწვრთნელ კარლო ანჩელოტის თავისი ბელგიელი ვარსკვლავის ედენ აზარის გაყიდვა სურს და, შესაძლოა, ეს უკვე იანვარში მოხდეს, თუ რეალმა სათანადო წინადადება მიიღო.

აზარი ბოლო პერიოდში იშვიათად ხვდება ძირითად შემადგენლობაში და ანჩელოტიმ რამდენიმეჯერ აღნიშნა, რომ მასზე დიდ იმედებს არ ამყარებს. შესაძლოა, აზარი ინგლისში დაბრუნდეს.

## რანგნიკმა კრიშტიანო რონალდუზე ისაუბრა



მანჩესტერ იუნაიტედმა სტუმრად ბრენტფორდი დაამარცხა და 15 წუთით ადრე რანგნიკმა კრიშტიანო რონალდუ შეცვალა, რის გამოც მას უკმაყოფილება არ დაუმალავს.

ბუნებრივია, მატჩის შემდეგ რანგნიკი ამ თემას შეეხო:

– რონალდუ უკმაყოფილო იყო, მაგრამ ის პროფესიონალია და ესმის, რომ ასეა საჭირო. ვფიქრობ, ჩვენ მივაღწევთ შეთანხმებას და ყველაფერი კონფლიქტების გარეშე ჩაივლის.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

ახალგაზრდა მამაკაცი ექიმს შესჩივის:
– ექიმო, ცოლთან საწოლში პრობლემები მაქვს.
– საწოლში როგორი განლაგება გაქვთ?
– მარჯვენა გვერდზე ვწევარ, მაგრამ არაფერი გამომდის.
– მაშინ მარცხენა გვერდზე ცადეთ.
– რა, სახით დედისკენ?

●●●

ესპანელი ღვინის ბოთლით ხელში სასტუმროში რუსი ქალის ნომრის კარზე აკაკუნებს. ქალი კითხულობს:
– ვინ არის?
– ხუან კარლოს ემანუელ და სილვა.
– შემოდით, მხოლოდ სათითაოდ.

●●●

ჰოლმსი ვატსონს ეუბნება:
– ექიმო ვატსონ, ვხედავ, დღეს თქვენ ქუჩაში შემთხვევით ფეხი განავალში ჩაგიდგამთ.
– აი აქ კი თქვენმა დედუქციურმა მეთოდმა გიმტყუნათ, ჰოლმს!
– ეგ როგორ?
– როგორ და ფეხი შემთხვევით კი არა, სპეციალურად ჩავდგი.

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეკითხება:
– შენს მეგობარ მამაკაცს რატომ დაშორდი?
– რატომ და სახლში მთელი კედლები სანადირო თოფებითა და ნანადირევის ფიტულებით აქვს მოფენილი.
– და მერე რა?
– რა და ყოველ მისვლაზე ჩემო ყურცქვიტაო, მეძახდა.

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:
– მინდა, ჩემო საყვარელო, ძალიან ბედნიერი გაგხადო!
– ჰოო, ძალიან დამაკლდები!

## ეკა ჩხეიძის „ყვითელი ყუთი“ დაიხურა



ტელეკომპანია „ფორმულაზე“ მსახიობ ეკა ჩხეიძის გადაცემა „ყვითელი ყუთი“ დაიხურა.

გადაცემამ მხოლოდ ერთი სეზონი იარსება და სხვადასხვა სფეროში ცნობილი და წარმატებული ადამიანები გააერთიანა.

ეკა ჩხეიძის სტუმრებს მაყურებლისთვის აქამდე უცნობ და პირად საკითხებზე უწევდათ საუბარი.

როგორც მსახიობმა აღნიშნა, „ყვითელი ყუთი“ ერთ-ერთი საინტერესო ეტაპი იყო მის ცხოვრებაში.

## მსახიობი რუსუდან კიკნაძე ლოს-ანჯელესში გარდაიცვალა



მსახიობი რუსუდან კიკნაძე ლოს-ანჯელესში მოულოდნელად 75 წლის ასაკში გარდაიცვალა.

სამწუხარო ინფორმაცია მისმა მეგობარმა ნანა ღონღაძემ გაავრცელა:

– თავზარდაცემული ვარ, ლოს-ანჯელესში, თავის სახლში უცბად გარდაიცვალა ჩემი ბავშვობის მეგობარი, ულამაზესი ქართველი მსახიობი რუსიკო კიკნაძე! ჯერ ვერ მოვსულვარ გონებაზე, ისეთ შოკში ჩამაგდო ამ ამბავმა. ვისაც შეგიძლიათ, დაუნთეთ სანთლები ეკლესიებში და მოიხსენიეთ მისი სული, გთხოვთ.

რუსუდან კიკნაძე თეატრალური უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ 20 წლის განმავლობაში რუსთაველის ეროვნული თეატრის მსახიობი იყო.

თეატრალური როლების გარდა, მაყურებლისთვის კარგად არის ცნობილი მისი კინოროლები ფილმებში: „გიორგობისთვე“, „ფერისცვალება“, „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“, „თვალი პატიოსანი“, „მონანიება“, „ფესვები“, „დანაშაული მოხდა“.

## თელავის თეატრმა დიდი დანაკლისი განიცადა



მსახიობი ზურაბ ლომიძე გარდაიცვალა

თელავის თეატრის მსახიობი ზურაბ ლომიძე გარდაიცვალა. სამწუხარო ინფორმაცია ვაჟა ფშაველას სახელობის თელავის თეატრმა გაავრცელა:

– თელავის თეატრმა დიდი დანაკლისი განიცადა – გარდაიცვალა თეატრის წამყვანი მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, ღირსების მედლის, ღირსების ორდენის, არაერთი პროფესიული პრემიისა და ჯილდოს მფლობელი ზურაბ ლომიძე.

მსახიობი, რომლის ვარსკვლავიც 2019 წელს გაიხსნა თელავის თეატრის წინ, როგორც ერთგვარი შეჯამება მსახიობის მიერ 40-წლიანი განვლილი შემოქმედებითი გზისა და დიდხანს, ძალიან დიდხანს შეახსენებს მომავალ თაობებს ამ შესანიშნავი ხელოვანის ღვაწლსა და დამსახურებას ქართული თეატრალური ხელოვნების წინაშე.

აუწონავია ეს დანაკლისი, გაუსაძლისია ტკივილი, შეუვსებელია სიცარიელე, შეუფასებელია ის სულიერება, რომელსაც ზურაბ ლომიძის სახელი ჰქვია.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## მეთევზემ 45 წლის რეკორდი მოხსნა



ამერიკის ჯორჯიის შტატში მეთევზემ თევზაობაში ამ შტატის რეკორდი მოხსნა, რომელიც 45 წლის წინ იყო დამყარებული.

ალაბამას შტატის მკვიდრმა ჯოზეფ მეთიუ მაკუორტერმა რეკორდული თევზი იმ დროს დაიჭირა, როდესაც ჯორჯიის შტატის ქალაქ კოლუმბუსის მახლობლად მდებარე მდინარე ჩატახუჩიზე თევზაობდა. მის მიერ დაჭერილი ოკუნის წონამ 3,77 კილოგრამი შეადგინა.

ჯორჯიის ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის დასკვნის თანახმად, მაკუორტერის ნადავლი დაახლოებით 60 გრამით აღემატებოდა იმ ოკუნს, რომელიც 1977 წელს დაიჭირეს და დღემდე შტატში ყველაზე მსხვილ დაჭერილ თევზად ითვლებოდა. ამ სახეობის თევზის ჭერაში მსოფლიო რეკორდის დამხობამდე, რომელიც 1995 წელს დაფიქსირდა ფლორიდის შტატში მდინარე აპალაჩიკოლაზე, ალაბამელ მეთევზეს 200 გრამი დააკლდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## უიშვიათესი მონეტა ნომინალზე 50-ჯერ ძვირად გაიყიდა

უიშვიათესი მონეტა ორი რევერსით ინტერნეტაუქციონზე ნომინალზე 50-ჯერ ძვირად გაიყიდა.

ორფუნტიანი მონეტა აუქციონზე შვიდი დღის განმავლობაში იყო გამოტანილი და



საბოლოოდ 100 ფუნტ სტერლინგად გაიყიდა. მისი საწყისი ფასი 70 ფუნტს შეადგენდა.

როგორც წესი, მონეტა ერთი მხრიდან – ორნამეტით, ხოლო მეორე მხრიდან მონარქის ან ქვეყნის ლიდერის გამოსახულებითაა დამშვენებული. 19 წლის წინ გამოშვებული ამ მონეტის შემთხვევაში მისი დიზაინი ორივე მხრიდან ერთი და იგივე აღმოჩნდა.

ის სახვითი ხელოვნების მასწავლებლის ბრიუს რაშინის მიერ იქნა შექმნილი, რომელმაც მონეტის რევერსის დიზაინზე დანიშნული კონკურსი მოიგო. გამოსახულება გამოხატავს ტექნოლოგიის განვითარებას რკინის ეპოქიდან სამრეწველო რევოლუციის პერიოდამდე.

მიუხედავად უჩვეულო შეცდომისა, მონეტამ უფრო მეტად მიიპყრო მყიდველების ყურადღება.

## ასტროპროგნოზი



21 იანვრისათვის

**ვერძი** – არ იაქტიუროთ. არასასიამოვნო ინფორმაციის გამო გეგმები გეცვლებათ. **კურო** – ვარსკვლავები დიდ გამარჯვებას გიწინასწარმეტყველებენ. გიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. პროფესიონალურ სფეროშიც წარმატებას მოიპოვებთ. **ტყუპები** – შესაფერისი დღეა ახალი საქმის დასაწყებად. პლანეტები თქვენ მიმართ კეთილგანწყობილნი არიან. **კირჩხიბი** – ძველი, დავიწყებული პრობლემები კვლავ წამოტივტივდება. მოვლენები საღად შეაფასეთ. რეალობას ნუ მოსწყდებით. **ლომი** – ნუ იჯიუტებთ. თუ ვითარება მოითხოვს, კომპრომისი გამართლებულია. საქმეს დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდეთ. **ქალწული** – ახალი ნაცნობობა ან მოულოდნელი შეხვედრა თქვენს საქმეებზე ნეგატიურად აისახება. ემოციები აკონტროლეთ. **სასწორი** – ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. დღეს საოცრად გაგიმართლებთ ნებისმიერ სფეროში. **ღრიანკალი** – პირად ცხოვრებაში პრობლემებს გადააწყდებით. თქვენი არავის ესმის. **მშვილდოსანი** – ძალზე წარმატებული დღეა. ყველა ახალი წამოწყება გაამართლებს. **თხის რქა** – ნუ იქნებით ზედმეტად ჩაკეტილი. გარშემომყოფებს გული გაუხსენით. სიზმარი აგიხდებათ. **მერწყული** – დაწყებული საქმე დროულად დაამთავრეთ. საპირისპირო სქესთან სერიოზული კონფლიქტია მოსალოდნელი. **თევზები** – საქმიან სფეროში ახალი პერსპექტივები გადაგეშლებათ. შესაძლოა, ძალზე საინტერესო შემოთავაზება მიიღოთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ფოტოაპარატების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 2. ტერიტორიული ერთეული შვედეთში; 3. წყალმცენარეების შემსწავლელი ბოტანიკის ნაწილი; 4. აკვალანგის გამომგონებელი ფრანგი ოკეანოგრაფი; 5. ნივრის მსგავსი სუნის მქონე ტყის ბალახი, იყენებენ მწნილის დასამზადებლად; 8. რძის პროდუქტი; 9. ფარისევლური ქცევის, ქლესა, ცბიერი ადამიანი; 12. ციფრული იაპონური გასართობი თავსატეხი; 14. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 16. ესპანეთის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში, პოპულარული საკურორტო ზონა.

**თარაზულად:** 1. მთელი სხეულის ძლიერი კრუნჩხვითი შეტევა; 6. ხელშეკრულებაში, ანდერძში შეტანილი საგანგებო პირობა; 7. აშშ-ის ელჩი საქართველოში; 9. ინდოელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 10. ქართული მინერალური წყალი; 11. ძველებური სასუნთქი თამბაქო; 13. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 15. აქლემის, ცხენის რძისგან მომზადებული სასმელი; 17. უბანი ძველ თბილისში; 18. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 19. ლიეტუველი კომპოზიტორი მამაკაცი; 20. ჭადრაკის ფიგურა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

